

ჭაბუკიანი მეგი

შაბათიდან - შაბათამდე

პიესა

მოქმედი პირები:

1. ქეთი - თბილისელი ქალბატონი თავის მეგობართან ერთად
 2. ოლიკო - თანამედროვე კარგი ქალბატონი, ასაკი 35–50 წელი.
 3. ჟუკა, ჟუჟუნა - გაპრანჭული დიასახლისი ამერიკაში კერძო ბინაში.
 4. თიკა - ჟურნალისტი, მხიარული გოგო, კარგი იუმორით 25 წლის.
 5. თინა - იმერელი, კეთილი, გულუბრყვილო შუახნის ქალბატონი.
 6. გოჩა - უცოლო, კარგი მშრომელი ახალგაზრდა კაცი.
 7. ნიკო - სერიოზული, თბილისელი უცოლო 30 წლამდე.
 8. ზაზა - კარგი გარეგნობის ახალგაზრდა. მღერის, უკრავს გიტარაზე. ათლექტური აღნაგობის 20–25 წლის.
 9. დევიდი - სიმპატიური ინტელიგენტი მოხუცი, ზის ინვალიდის სავარძელში.
 10. კაცი - მეზაღე დიდი ტანის, მსუქანი ჭკუასუსტი.
 11. როუდა - ამერიკელი მოხუცი გაპრანჭული ქალი. სასაცილოდ, ახალგაზრდულად ჩაცმული.
- ხმები - ლანა, ქეთის შვილი.
- ნინა დეიდა - მოხუცი მეზობელი ქალი თბილისში.

(მკთალი შუქი. გაშლილია რამდენიმე შეზღონგი. ვილაცეები წვანან. ისმის ხვრინვა. ოთახში ალაგია რამდენიმე ჩემოდანი. გარედან შემოდის მეტროს ხმა. ჟუკას შემოყავს ქეთი და ოლიკო. ქეთი რაღაცას წამოედება.)

1-1

ჟუკა - აქეთ აქეთ. (ხმაურზე ვილაც გამოიღვიძებს)

თინა - ჟუკა შენა ხარ?

ჟუკა - ხო, ხო დაიძინე.

თინა - რომელი საათია?

ჟუკა - ადრეა ჯერ. დაიძინე. აი აქ მოისვენეთ. (მიმართავს ქეთის)

ქეთი - გმადლობთ.

ჟუკა - თუ რამე გინდოდეთ, გვერდით ოთახში ვარ.

ოლიკო - მადლობა, ახლა ჩვენ თვითონ დავბინავდებით. (ნიკოს შემოაქვს ჩანთები)

ჟუკა - ნიკო, ეგ ჩანთები მანდვე დააწყვე, დილამდე მაინც ვერ ამოალაგებენ.

ოლი - მადლობთ.

ნიკო - არაფრის ქალბატონებო. (ქალები ჩამოსხდებიან)

ქეთი - ესეც შენი ამერიკა.

ოლი - ჯერ რაც დავინახე, არაფერი მომწონებია.

ქეთი - სადარბაზოში რომ შემოვედით კინალამ გული ამერია, რალაცნაირი სუნია. სიძველის, ნესტის, თუ რალაცა ამგვარის.

ოლი - კარგი სურნელი საქართველოში იყო.

ქეთი - ეჰ, იყო, იყო. მართლაც, რომ იყო.

ოლი - მერე რას მოვრბოდით, თუ კარგი იყო?

ქეთი - გაეხვეწები, არ დაიწყო ახლა თავიდან. (პაუზა) ნეტავ უკან როდის დავბრუნდებით?

ოლი - გოგო, ჯერ არ ჩამოვსულვართ და უკვე დაბრუნებაზე ლაპარაკობ? ჯერ მივიხედ მოვიხედოთ, იქნება ისე გაამერიკელდე უკან წასვლა აღარ მოგინდეს.

ქეთი - რას ამბობ ოლი, ჩემი შვილები..... იმათ გარეშე არაფერი არ მინდა.

ოლი - იმათაც ჩამოიყვან.

ქეთი - სულ მეტირება ლანას თვალების გახსენებაზე, როგორ დავტოვე შვილები. ლუკა კი იკავებდა თავს, მაგრამ ბოლოს მაინც გადმოსცვივდა ცრემლები.

ოლი - სამაგიეროდ დათო იყო გაბადრული.

ქეთი - შენ დათო არასოდეს მოგწონდა.

ოლი - ჩემი დასაწუნი დათოს რა ქონდა. შენ არ მემეტებოდი მისთვის შე სულელო. შენ ცა ხარ, ის კი მიწა. ხომ ჩამოგსვა ღრუბლებიდან მიწაზე. ბავშვებს მაინც არ გააფუჭებდეს.

ქეთი - კარგი რა, ნუ იცი შენ ასეთი ლაპარაკი, მაგას ახლა მისი გაჭირვება ეყოფა.

ოლი - გამაგიჟებ შენ მე. რა გაჭირვება გოგო. გაჭირვებაა ის, რომ იცხოვრებს ლამაზად მის სახლში და სასმელ-საჭმელი არ

მოაკლდება? ბავშვები რომ მოვლილი და უზრუნველყოფილი ეყოლება ესაა გაჭირვება? საზიზღარი..... ის ელისოც რას იტყვარჭებოდა..... ვერ ვიტან მაგ გოგოს.

ქეთი - გეხვეწები ოლი, ისედაც თავი მისკდება, აღარ მინდა მაგაზე ლაპარაკი.

ოლი - მარინამ რა ჩაგიტენა ჩანთაში? რა იყო?

ქეთი - არ ვიცი. თვითმფრინავში გახსენით, ოკეანის თავზე რომ იქნებითო.

ოლი - რაღაცას იმაიმუნებდა, ხომ ვიცი მაგისი ხასიათი. დარწმუნებული ვარ ახალს გამოიგონებდა რამეს.

ქეთი - გაუჭირდებოდა..... რა საქმე აქვს მეტი?! დილით გავხსნათ

(შეზღონგიდან ქალი იღვიძებს და იწყებს ადგომას)

თინა - დილა მშვიდობისა გოგოებო.

ქეთი - ბოდიში, გაგალვიძეთ მგონი.

თინა - თქვენ ახლები ხართ თუ?...

ოლი - დიახ, ეხლა ჩამოვედით.

თინა - თბილისიდან?

ოლი - დიახ.

თინა - ვაიმე როგორ მენატრება თბილისი. მე წარმოშობით ზესტაფონიდან ვარ, მაგრამ თბილისი ჩემი ქალაქია. რა ხდება საქართველოში?

ოლი - არაფერი. ყველაფერი ისევ ისეა. სამსახურები არ არის. 40 წლის ზევით ხომ, შეუძლებელია რამის შოვნა.

თინა - ვაი ჩვენი ცოდვა.

ქეთი - თქვენ დიდი ხანია აქა ხართ?

თინა - კი, 11 წელია.

ქეთი - უი რას ამბობთ, მაგდენ ხანს მე ვერ გავჩერდები, შვილები მყავს დატოვებული.

თინა - მასე მეგონა მეც, მარა... ეს ჭაობია, ჭაობი. გითრევს და გითრევს შიგნით. ბიჭი 11 წლის დავტოვე და საცოლუა უკვე. თქვენები რა ხნის არიან?

ქეთი - გოგო 15 და ბიჭი 14 - ის.

თინა - ქმარი გყავს?

ქეთი - კი.

თინა - მერე მაგ ოჯახაშენებულმა შენ გამოგიშვა? ქმარი მყოლოდა, მე აქ რა მინდოდა?!

ქეთი - ჩემს საქმეს ასე სჭირდებოდა.

თინა - თქვენ?

ოლი - არა, მე გათხოვილი არა ვარ.

თინა - ამისთანა კარგი გოგო ვინ დავტოვა მარტო?

ოლი - რას ვიზამთ ხდება ხოლმე.

თინა - ავდექი ახლა თუარა , დღეს ბევრი სარბენი მაქვს. (ხალათს იცმევს და გადის)

ოლი - შენი ჭირიმე... არ გაგავატარა რენდგენში?

ქეთი - ეს ვილაცაა რას ხერხავს.

ოლი - ხერხოს ერთი რას გიშლის.

ქეთი – ნეტავ რამდენ ხანს მოგვიწევს აქ ყოფნა?

ოლი – რა ვიცი, ჟუკამ შეიძლება ხვალვე წაგიყვანოთო

ქეთი – ინსტიტუტის შემდეგ ინგლისურის ერთი სიტყვაც არ მითქვამს. შენ გახსოვს რამე?

ოლი – შენ წარმოიდგინე კი. რაღაც რაღაცეები. ყოველ შემთხვევაში გაქცეულს მოვაბრუნებ

ქეთი – მინდოდა გადამეხედა ცოტა მაინც, მაგრამ იმდენი საქმე მქონდა მოსაგვარებელი..... ერთი თვალი რომ გადამევილო..... ლექსიკონი კი წამოვიღე.

ოლი – მარინა უკულმართმა „აბა თქვენ იცით ჩემო სათნოების დეზო როგორ გააოცებთ ამერიკელებს თქვენი სიკეთით, შტერობაში რომ გადაგდით ბოლოსო“.

ქეთი – რაო?

ოლი – არაფერი, ზედმეტების კეთება არ დაიწყეთ თქვენებურად. ის გააკეთეთ რასაც დაგავალბენო. რასაც მეტს გააკეთებთ მეტს მოგთხოვენო.

ქეთი – მაგას ახლა ჩემზე ამბობ ხო?

ოლი – შენზეც და ჩემზეც. მთელი ოჯახის ტვირთი შენ რომ აიკიდე, პასუხისმგებლობა აიღე ყველაფერზე რატომ? მითხარი რატომ? დათოს რატომ არ მოსთხოვე მიეხედა ოჯახისათვის?

ქეთი – მაგის სამსახური დაიხურა, მერე დეპრესიაში იყო და ამოვარდა სასტავიდან. აღარც რამე გამოჩნდა. ვერაფერი საქმე ვერ იპოვა.

ოლი – სამაგიეროდ შენ ხომ იპოვე მაშინაც და ახლაც.

ქეთი – თავიდან გადავწყვიტეთ ორივე წამოვსულიყავით, მაგრამ ბავშვებს უპატრონოდ ვერ დავტოვებდი, ამიტომ დათო დარჩა და მე წამოვედი.

ოლი – შენ რატომ არ დარჩი? საჭმლის კეთება არ იცი? რეცხვა თუ კერვა? ბავშვებს შენ ვერ მიხედავდი?

ქეთი – ოოო, როგორ დამღალე. სნაიპერივით ტყვიას პირდაპირ გულის კოვზში აჯენ.

ოლი – რომ მიყვარხარ და მენანები ის მალაპარაკებს. ერთი დღე ერთი საათი დაგიტოვებია ბავშვები?

ქეთი – არა

ოლი – ხოდა, მეც მანდ ვარ გულიდან რომ მოიგლიჯე შვილები. თვალები რომ ცრემლებით გაქვს სავსე. იტანჯები და კიდევ თავს იდანაშაულებ ველარ გიძლებ.

ქეთი – გეყოფა.....გეყოფა..... მყოფნის მე საფიქრალი (ცრემლები გადმოსცვივდება)

ოლი – ვაიმე, მაპატიე, მაპატიე. ხომ იცი შენი წყენა არ მინდა . მეც გამოსული ვარ წყობიდან მაპატიე რა. ვერ ვიტან შენ ცრემლებს. ხომ გახსოვს ეზოში ვინმე რომ გაწყენინებდა ბიჭივით ვჩხუბობდი. გეხვეწები გაიცინე რაა. გეხვეწები, გეხვეწები (ქეთი თვალებს იწმენდს და ილიმება.) აი ასე. დავივიწყოთ ყველა და ყველაფერი. დღეს იწყება ჩვენი ამერიკული ცხოვრება. ნატავ ამ ფანჯრიდან тетя свирида ჩანს?

ქეთი – გიჟი ხარ გიჟი. (ილიმება. იღვიძებს თიკა)

თიკა – ერთ სახლში ორი გიჟი ნამეტანია. ეს ტიტული აქამდე ჩემი იყო და ახლა ვინ მეცილება? (გადმოიხედავს) ვაიმე ბოდიში თქვენ არ მეგონეთ.

ოლი – არა უშავს ჩემო კარგო, ბოდიში ჩვენ უნდა მოგიხადოთ არ გაცალეთ ძილი.

თიკა – ამერიკაში ვისაც სძინავს მას ფული არ აქვს. მაგალითად მე. (შემოდის თინა)

თინა – მერე, ვინ გიშლის გამოიღვიძე. შენ მინისტრობა გინდა, ბოდიში არ გნიშნავენ.

ქეთი – სამუშაო ვერ იშოვეთ?

თიკა – ვერა, რალაცნაირად ვერ მოვერგე ამერიკას

ქეთი – თქვენ ქალბატონო?

თინა – მე ბავშვებთან ვარ.

ქეთი – რა კარგია ალბათ ბავშვებთან.

თინა - ბავშვებთან კი კარგია მარა..... აი პატრონებთან რა მოგახსენოთ.

ქეთი – რატომ ბევრს ითხოვენ თქვენგან?

თინა – თავიდან, რომ ჩამოვედი ძალიან გამიჭირდა, დავდიოდი ქუჩებში და მესმოდა – ჰოკეი, ჰოკეიო. გადვირიე ქალი, რავა ყვარებიან აქანე ჰოკეიტქვა. არა და არა, არავინ ამიყვანა, ენა არ ვიცოდი დედა და მიტომ, მერე ამ გასახარებელმა, ჟუკამ მიპოვა რუსები. რუსულად ქე ვხლაფორთობდი რაცხას, ტყუპები ყავდათ, ისეთები უკეთესს რას ნახავდი. თავიდან კი ვიყავი კარგად, ბოვშებიც წამოვჩიტე, ძალიან მიყვარან და იგენიც გიჟდებიან ჩემზე დამდევენ ბაბუშკა, ბაბუშკაო.

ოლი – აბა მერე რა მოხდა?

თინა – რალაცა ეირია ცოლ-ქმარი, ქალმა ქმარი სახლიდან გააგდო. აქანა რაცხა სხვანაირი კანონები ყოფილა, ასე გააგდო აა.....

(გაილოკავს თითს) გალოკილი თითივით. ფანჯრიდან გადოუგდო რაცხა პატარა ჩასაცმელი. ბიჭი წყნარი იყო, ბუნჩულა, და ქე წევოდა თავის გზაზე, აბაა..... იმის შემდეგ დეიწყო მარა რა დეიწყო.

თიკა – თინიკო, ნუ გადარიე ეს ხალხი.

თინა – ვაიმე, ჩემი სიკვდილი, თქვენ კი არ შეგეშინდეთ დედა, თქვეისთანა ქალბატონებს ვინ ეტყვის უარს სამუშაოზე.

ოლი – მერე ქალბატონო, მერე, მაინტერესებს.

თინა – თავი შეგაწყინეთ.

ოლი – არა პირიქით, გამოვფხიზლდით ცოტა.

თინა – კაი აბა, უცბათ მოვყოლი, ჰოდა დეიწყო მარა რა დეიწყო.

თიკა – ჰე, ახლა რა დაიწყო?

თინა – იქნება ასე 2 წელიწადი..... საყვარელი გეიჩინა.

თიკა – რამდენჯერ უნდა გითხრა მე შენ, სადაც იქნები იქაური ქუდი უნდა დაიხუროთქო, საყვარელი კი არა, ბოიფრენდი თინიკო, ბოიფრენდი.

თინა – შენ, რაცხა გინდა ის დოუმახე, ჰოდა, რავარც მოვა ის ბოიფრენდია თუ ვინცხა ოხერი..... თოვანა..... წვიმანა..... ყინვა თუ გრიგალი, ეს სულელი ქალი გამოგვყრის მე და ჩემ ბოვშეებს გარეთ და სამი, ოთხი საათი დევებეტებით საცხა–საცხა, რაფრა უნდა ასეირნო ბოვშეები წვიმაში და ქარიშხალში. აგერ მაქ ა ამოსული მარა, რა ვქნა მეტი რა ძალა მაქ. ბოვშეებიც მეცოდებიან ვერ ვლალატობ და ვარ გამწარებული. შაბათით ვცოცხლობ, გათენდება შაბათი თუ არა აქეთ მევიჩქარი, ეგენი მაძლებიებენ ამგენს ვეხუტუნე მე. ი ბოვშეებსაც უხარიათ შაბათ დღეს გარეთ ვერ გაყრის დედამისი და ვართ ასე. კაი ახლა გევიკრიფე ენად. დავგვიანდი. მერე მოგიყოლით კიდე, მე ამბები გადამხდა.... ერთი წიგნი

დეიწერება. აბა ჰე, კარგად ახლა. გაკოცე აბა, ჩემო გიჟოლია (მიმართავს თიკას, იცმევს და მიდის).

თიკა – თინა კარგი ქალია, მაგრამ ლაპარაკი უყვარს ბევრი. თქვენ სამსახურს ადვილად იშოვით. საერთოდ ყველაფერი კარგად იქნება მე დღეს არსად არ მივდივარ, აგიხსნით რაც გაინტერესებთ.

ქეთი – რა გქვიათ?

თიკა – თიკა.

ქეთი – მე ქეთი ამას ოლიკო. ჩვენ ბავშვობის მეგობრები ვართ.

თიკა – უი, რა კარგია, რა ბედნიერებაა ერთად რომ ჩამოხვედით.

ოლი – ჩვენს დიასახლისს ჟუკა ქვია?

თიკა – ჟუჟუნა ქვია მაგრამ, ცოფდება ჟუჟუნა რომ დაუძახო.

ქეთი – რატომ, ჟუჟუნა მშვენიერი სახელია.

თიკა – ბებიას სახელი დაურქმევიათ. ჟუკა დამიძახეთო და დავუძახებ, ჩემი რა მიდის.

ოლი – ჟუკა მუშაობს?

თიკა – ჩვენ არ გვიმხელს ვითომ არ მუშაობს. ისე კი, ძირითადად ქართველების დახვედრა დაბინავებითაა დაკავებული.

ოლი – კიდევ ვინ ცხოვრობს აქ?

თიკა – ცხოვრებით მე, ნიკო, გოჩა და ზაზა. დანარჩენები დასვენების დღეებში მოდიან. შაბათობით ხანდახან რჩებიან კიდევ.

ოლი – ბიჭები სად მუშაობენ.

თიკა – ნიკო მშენებლობაზე, გოჩა მაღაზიაში, ზაზა სამსახიობო რაღაც კურსებზე სწავლობს ჰოლივუდში უნდა მოხვედრა, ახლაც ფოტოსესიისთვის ფულს აგროვებს, თან ტაქსზეც მუშაობს.

ოლი – კი..... მაგრამ რამდენი ოთახია?

თიკა – გოჩას, ნიკოს და ზაზას საკუჭნაოში სძინავთ.

ქეთი – საკუჭნაოში? რანაირად?

თიკა – სამივეს ერთად იშვიათად უწევთ ღამის გათევა, გოჩა უმეტესად ღამით მუშაობს, ადრე ყოფილა საკუჭნაო თორემ ისე ჩვეულებრივი უფანჯრო პატარა ოთახია.

ქეთი – მერე არ იხრჩობიან უფანჯროდ?

ოლი – რა შეკითხვაა.... არ გესმის... ხვრინავს აგერ ბიჭი. ესეიგი არ იხრჩობა თუ..... იხრჩობა და იმიტომ ხვრინავს ასე. (თიკა იცინის)

ქეთი – თიკა დიდხანია აქა ხართ?

თიკა – კი, საკმაოდ.

ქეთი – მარტო ჩამოდით.

თიკა – ჩემი საქმე სხვანაირად იყო, მე ჟურნალისტი ვარ. ის ცნობილი ამბები გეცოდინებათ ტელევიზია რომ დაარბიეს, ხოდა მოხდა ისე, რომ უნდა წამოვსულიყავი.

ქეთი – უი, რას ამბობთ.

თიკა – ახლა ვერც უკან მივდივარ და აქაც არ მიმართლებს.

ქეთი – გაგიმართლებთ აუცილებლათ გაგიმართლებთ. აი ნახავ, ჩვენ ისეთი კარგი ფეხი გვაქვს..... (თიკა ხანდახან კედელზე აბრაზუნებს, ხვრინვა ნელდება მერე ისევ ისმის, იცმევს ხალათს) აბა ვნახოთ.

ოლი – ეს რომელია?

თიკა – ეს გოჩაა, თავიდან გაგიჭირდებათ მოსმენა მერე შეეჩვევით. ძალიან კარგი ბიჭია. (გადის)

ოლი – ჩვენ კარგი ფეხი გვაქვს..... კარგი კი არა. ფეხები გვაქვს მოსამტვრევი.

ქეთი – რას ერჩი გოგო ამ ლამაზ ფეხებს. რა ვიცი კარგად კი მობაკუნობდი. (ოლიკო იხედება ფანჯარაში შემოდის თიკა).

ოლი – ესაა ამერიკა..... ჯერჯერობით ნოკაუტში ვარ.

თიკა – ეს ძველი უბანია, გარეუბანი. ნამდვილი ამერიკა ღამით უნდა ნახო, ამ საღამოს გაგასეირნებთ. (შემოიხედავს ჟუკა)

ჟუკა – როგორ ხართ გოგოებო..... თიკა მე გავდივარ მიხედე სტუმრებს.

თიკა – (სამხედრო საღამს მისცემს) არის კაპიტანო!!

ჟუკა – მასხარა. (გადის)

თიკა – არ მოიწყინოთ, მე საუზმეს მივხედავ, ყავას ხომ დალევთ (თავს დაუქნევენ) ოკეი (გადის)

(ქეთი იწყებს ჩანთის ამოლაგებას ამოაქვს პატარა შეკვრა ოლი დიდ ჩანთას შემოტანს)

ქეთი – ოლი, ნანიკოს საჩუქარი.

ოლი – ყუთი არ გახსნა, ჯერ წერილი წაიკითხე, ხომ გახსოვს ზამბარიანი ღილი რომ გამოგვიგზავნა კურიერის ხელით სამსახურში და ხუთი წუთი ზუზუნით რომ ასკდებოდა კედლებს, რაღაც იმდაგვარია ალბათ. იქნება რამე მინიშნება ეწეროს. (ქეთი კითხულობს)

ქეთი - ჩემო საყვარელო და უძვირფასესო მეგობრებო გული მწყდება რომ მიდიხართ, მომენატრებით ძალიან დამაკლდებით, აწი ვინ დამიკაკუნებს გათბობის მიღზე „ამოდი ყავა დავლიოთო“
ოლი – მიკვირს..... რაღაც ძალიან დალაგებულად წერს, მერე.....

ქეთი - „ახლა საქმეზე გადავალ გატანთ საჩუქარს, დარწმუნებული ვარ, არც იცით, რა არის. თავი არ მომჭრათ, ბუშტები არ გეგონოთ და არ გაბეროთ, არ გააგიჟოთ ამერიკელები. ვილაცას შეეკითხეთ, მაინც და მაინც თქვენ ნაირ მონაზვნებს ნუ მიადგებით, ვინმე გამოსულს, სვეტუნის კითხეთ. უპრაკუნოდ არ მიაგდოთ, გამოსადეგი ნივთია. მტერი არაა მის მეტი, მაგი თქვენ ვერ გამოიყენოთ, გახსენით ახლა და დანარჩენი ინსტრუქცია ყუთში გელოდებათ“.

ოლი – ვაი ნანიკო კუდიანო რას გიზამ.

ქეთი – მე მეშინია, შენ გახსენი. (ოლი ართმევს ხსნის და რაღაც გრძლად ჩამოიშლება)

ქეთი – რა ჯანდაბაა. (ოლი აჩვენებს) ეს რაა??

ოლი – ბუშტები.

ქეთი – ბუშტები? რანაირი ბუშტებია? მოიცა რაღაცა ქალაქია (აგრძელებს კითხვას) “დახურე ქეთი პირი, ოლიკო შენ რას გადმოგიქაჩავს თვალები“

ოლი – რას მეუბნები გოგო! (ქეთი ბლუკუნებს)

ქეთი – მე კი არ გეუბნები, აქ წერია ასე.

ოლი – მოვკლავ მაგას.

ქეთი – „მომკლავ კიარა ყურებზე ხახვი არ დამაჭრა“.

ოლი – ესეც მანდ წერია? (წაართმევს წერილს)

ქეთი – მოიცა, უკან კიდევ რაღაცაა.

ოლი - „ჰე, ახლა გაიცინეთ, ხომ გაგამხიარულეთ. მიყვარხართ, მიყვარხართ და მოუთმენლად გელით, როდის დამირეკავთ და მიმაჯოჯოხეთებთ. გკოცნით ნანიკო.“

P.S. ისე, ეგ პრეზერვატივები ვინმეს აჩუქეთ, თქვენ მაგის მოხმარების თავი სადა გაქვთ, თქვე საცოდავებო. თქვენ რაც გამოგადგებათ და დაგჭირდებათ ისიც ყუთშია, მიიყარეთ და იყავით მშვიდად. პაკაა.....

ქეთი - რაო, პრეზერვატივებიო....

ოლი - ნახე ერთი კიდევ რამე?!

ქეთი - კი.

ოლი - ამოიღე.

ქეთი - არა მეშინია.

ოლი - მომეცი აქ. (ამოიღებს)

ქეთი - რა არი მაჩვენე....

ოლი - ნაფტალინი.

ქეთი - რააა?

ოლი - ნაფტალინი.

(ერთმანეთს შეხედავენ და ატეხავენ საშინელ ხარხარს ხმაურზე შემოვარდება შეშინებული გოჩა ნახევრად მძინარე ტრუსიკიანი)

გოჩა – რა ხდება? იცინით თუ ტირით. (გოჩას დანახვაზე სიცილს უფრო ვეღარ იკავებენ)

თიკა – ქალბატონებო საუზმე მზადაა.

ქეთი – საიდან იგონებს ეს გოგო ამდენ საუკუღმართოს.

ოლი – რაც მართალი მართალია, ძალიან მაგარია.

ქეთი – კიდევ კარგი, თვითმფრინავში არ გავხსენით, გავაგიჟებდით ხალხს.

ოლი – წამო ვისაუზმოთ და გავიაროთ.

ქეთი – ასე ადრე?

ოლი – წამო, წამო, ახლა მაინც ვერ დავიძინებთ (გადიან პაუზაა, მუსიკა. შემოდის თიკა და იწყებს შეზღონგების ალაგებას, კარებში გამოჩდება ნიკო)

ნიკო – მარტო ხარ?

თიკა – არაა.. ხალხს ვერ ხედავ?

ნიკო – ახლები სად არიან?

თიკა – სასეირნოდ გავიდნენ?

ნიკო – მარტო გაუშვი?

თიკა – მერე რა, ენა იციან არ დაიკარგებიან.

ნიკო – სალაპარაკო მაქვს.

თიკა – მე არ მაქვს.

ნიკო – რატომ მეიაზვები ძვირფასო..

თიკა – სულაც არა.

ნიკო – აბა რა ლაპარაკია ეგ?!

თიკა – რა გინდა ნიკო?

ნიკო – წამო გავიაროთ.

თიკა – არ გესმის ადამიანო, არ მინდა არსად გავლა.

ნიკო – რაღაცა მინდა გითხრა.

თიკა – მე არ მინდა.

ნიკო – რა პატარა ბავშვივით იქცევი.

თიკა – თავი დამანებე, თორემ ჟუკა დედას ვეტყვი ყველაფერს.

ნიკო – ერთბაშად ყური არ ამიწიოს.

თიკა – აგიწიოს კიარა იქნება სულ დაგაგლიჯოს ეგ ყურები.

ნიკო – შენ ვერა ხარ აი....

თიკა – შემეშვი ნიკო მანდამაინც გინდა, რომ გამაგდოს?

ნიკო – რატომ უნდა გაგაგდოს?

თიკა – კარგად იცი რატომაც.

ნიკო – არ ვიცი და მითხარი.

თიკა – ცვლილებები მოგინდა ვაჟკაც?

ნიკო – რა სულელი ხარ გოგო.

თიკა – სულელი ვარ და წადი ახლა, მე ჩემი საფიქრალიც მეყოფა.

ნიკო – რას იტანჯავ გოგო თავს, არსად არ წავალ, სანამ ყველაფერს არ გეტყვი.

თიკა – იცოდე ჟუკას დავუძახებ.

ნიკო – მე თვითონ დავუძახებ. რატომ არ გჯერა, ჩვენ მხოლოდ მეგობრები ვართ. დედას გეფიცები ჩვენს შორის არაფერი ხდება, დამიჯერე გეხვეწები.

თიკა – ჟუკამ თუ იცის მარტო მეგობრები რომ ხართ?

ნიკო – დავუძახებ და ვკითხოთ. ჟუკააა! (დაიძახებს)

თიკა – გაგიჟდი... არ დაუძახო.

ნიკო – აბა, ისე არ გჯერა და... ჟუკაა... (ისევ ეძახის)(თიკა გასაქცევს ეძებს თან ნიკოს პირზე აფარებს ხელს)

ჟუკა – ბატონოო.

ნიკო – მოდი ერთი წუთით. (თიკას გასვლა უნდა, ნიკო არ უშვებს)

ჟუკა – ახლავე...

თიკა – გამატარე შე იდიოტო. (თიკა გავარდება, ნიკოც მისდევს და კარებში დაეჯახება ზაზას)

ზაზა – ეე.. ნელა ბიჭო. (შემოდის ჟუკა)

ჟუკა – ნიკო სად არის?

ზაზა – ნიკოოო.... სიგარეტზე გავიდა, გოჩა სახლშია?

ჟუკა – სძინავს. ამაღამ მუშაობს.

ზაზა – აბა დამიძინია ამაღამ გემრიელად. (იღებს გიტარას და იწყებს აწყობას)

ჟუკა – რით ვერ ააწყვე ეგ გიტარა, მორჩი ეხლა ჩხაკუნს, ისედაც ნერვებზე ვარ.

ზაზა – რატომ მშვენიერო ჟუ-ჟუ-ნა (მღერის)

ჟუკა – მე შენ რა გითხარი ჟუჟუნა რა დამიძახო!

ზაზა – ჟუ-ჟუ-ნა.....

ჟუკა-ზაზა!

ზაზა – ჟუჟუნა წვიმა მოვიდა (მღერის)

ჟუკა – საღამოს მჭირდები, ახლები მყავს წასაყვანი, რაღაც ვარიანტებია.

ზაზა – ვაა.... ასე მალე? სალოლ შენ!

ჟუკა – იქნებ გაამართლოს.

ზაზა – გაგეჩერებინა ცოტა ხანს, გავიგებდით თბილისურ ამბებს, ისინიც მოშინაურდებოდნენ. ნიკომ, მაგარი კარგი ხალხიაო.

ჟუკა – კი, ძალიან კარგები არიან.

ზაზა – მზად ვარ გემსახურო დედოფალო!

ჟუკა – ნიკო რომ მოვა, უთხარი შემოვიდეს.

(ზაზა მღერის ჟუჟუნა წვიმას და გადის თავის ოთახში. მუსიკა და სიბნელე)

მეორე სურათი

ოთახი, სავარძელში მოხუცი ზის, ქეთი საქმიანობს. ეზოდან ისმის ხმა. კაცი ბალახს კრეჭს. ქეთი სკაიპში რეკავს.

ქეთი – აილე ახლა, დამეგლიჯა ნერვები. ეს გოგო სულ დაკავებული როგორ არის, თუმცა ისეთი ავადმყოფი ყავს კიდევ კარგადაა, მიკვირს როგორ უძლებს. სახლში არაა..... (ოლიკო იღებს და ძლივს სუნთქავს)

ოლი – ქეთუსია.

ქეთი – რა იყო, რანაირად სუნთქავ, სად იყავი?

ოლი – საავადმყოფოში, სარა დავაწვინეთ.

ქეთი – რას ამბობ? რა დაემართა?

ოლი – რა დაემართებოდა, დაიმტვრა. ამ ბოლო დროს ისეთი აღგზნებული იყო, ღამე კარებს გარედან თოკით ვკრავდი, მერე გარაჟიდან შემოვდიოდი. სულ გარეთ მეპარებოდა. ვგიჟდები,

კარებს როგორ ალებდა?! მისმა შვილმა: დედამ ბევრი უნდა იმოდრავოსო და ამასაც მეტი რა უნდოდა, დადიოდა და დაიოდა, თან ხელს არ მაკიდებინებდა ჩემით, ჩემითო. და ჰა, შედეგიც სახეზეა.

ქეთი – კარგი დაწყნარდი.

ოლი – სარა მოხუცია და ავადმყოფი. მისი შვილი უფრო მიშლის ნერვებს, თავი ჯანმრთელი რომ ჰგონია. ეგ დედამისმზე მეტი ავადმყოფია. მანდ რა ხმაურია?

ქეთი – გარეთ ბალახს კრიჭავენ. საოპერაციო ხო არაა?

ოლი – გაუკეთეს უკვე. სამი თვე მაინც დასჭირდებაო. რა ვიცი საერთოდ თუ დადგა ფეხზე.

ქეთი – შენ რა გეშველება?

ოლი – გამომიშვეს. ისეთი დაღლილი ვარ, ერთი სული მაქვს როდის წამოვალ. ზაზას დავურეკე, მომაკითხავს, მანამდე ჩავლაგდები და წავალ ისევ ჟუკასთან.

ქეთი – ოლი იცი რა..... ჩემთან ჩამოდი.

ოლი – მერე ეგენი რას გეტყვიან?

ქეთი – მისტერ დევიდს პირიქით გაუხარდება, ესტერიც არ მეტყვის უარს, კრუიზშია. თუ დარეკავს ვეტყვი.

ოლი – ის რძალი თუ ვიღაცა, რომ გაკითხავთ? ეგ ისეთი წუპაკია, ცოტას მაშინებს. არ მინდა საქმე გაგიფუჭო.

ქეთი – ესტერის დარეკვამდე დაგმაღავ, მერე კი ვიცი, უარს არ მეტყვის.

ოლი – რა ვიცი ქეთი, უსიამოვნება არ მინდა შეგხვდეს.

ქეთი – მორჩა, არ უნდა ამას ამდენი ლაპარაკი, გელოდები.

ოლი – დევიდი სად გყავს?

ქეთი – ვერ ხედავ? აგერ მიზის ჭკვიანად.

ოლი – მაგას რა ჭირს?

ქეთი – ვის?

ოლი – მისტერ დევიდს?

ქეთი – არაფერი, რა უნდა სჭირდეს? სძინავს.

ოლი – გულზე რა უკეთია მედალი?

ქეთი – მედალი.....(გახედავს) ვაიმე , პროტეზი გადმოვარდნია ამ საცოდავს.(სალფეთქით იღებს) ამაზე ძალიან არაფერი მეზიზღება. ამის მოვლას ალბათ ვერც შევძლებდი, ასეთი კარგი რომ არ იყოს. ძალიან ვეცოდები, ხანდახან ისეთი თვალებით მიყურებს ლამის იტიროს. გრძნობს, ბავშვებთან ლაპარაკის მერე სულ გაღიზიანებული ვარ და ცდილობს არ შემაწუხოს. ამის მეტი რა შეუძლია ამას, თანაც.....

ოლი – მამაშენს გავს არა.....

ქეთი – შენც შეამჩნიე? ხო, მამაჩემს გავს.

ოლი – ქეთი, შენი საშველი არ იქნება, არა. კაი ახლა გამიშვი, თორე მოვიდა ზაზა და ესაა.

ქეთი – დამცინე ხო... რა დაგახვედრო? კარგი ყველი მაქვს ჭადს დაგიცხობ.

ოლი – უი, გენაცვალე მენატრებოდა. წავედი .

(ქეთი დაფიქრებული ფანჯრისკენ მიდის და მებაღეს ესალმება)

ქეთი – **Hi.**

კაცი – Hello. How are you?

ქეთი – **fine**. (მიდის დევიდთან თან დაკეცილი თეთრეული უჭირავს ხელში) ჩემი ბედი რა ვთქვი, რა იქნებოდა ლაპარაკი შეგეძლოს. ხმის გამცემი მაინც მეყოლებოდი. (კაცი თვალს ახელს) შენნაირი ადამიანი, რატომ დაგსაჯა ღმერთმა. (კაცი იღიმება) ჰო, ჰო, შენზე ვლაპარაკობ. ამას მგონი ქართული ესმის. ეჰ, შენ კი გასწავლი ქართულს, მაგრამ მე ვინ მასწავლის ინგლისურს?(კაცი იღიმება და თავს უქნევს) შენ მასწავლი? კარგი ჩემო ბატონო, კარგი. (თმებს გაუსწორებს) არც შენ გქონია ბედი, შე საცოდავო, ჩემსავით. (დაუთავებულები გააქვს. ამ საუბრის დროს ქეთი სულ რაღაცას აკეთებს. მოხუცი მაგიდიდან რაღაცის აღებას ცდილობს. გადმოუვარდება ჭიქა)

ქეთი – **Don't worry. I clean now. Relax. I won't say something. Listen me. Do you know my friend oliko? She lost job. she can stay here?** (კაცი თავს უქნევს) **Ester don't be angry?** (კაცი თავს გაუქნევს) **I know. Your Ester is kind .thank you. You so like my oliko.**

ქეთი მუსიკას ჩართავს იქვე ჩანს როგორ აცხობს ჭადს და მოხუცის საჭმელს აცხელებს. შემოდის და აჭმევს.

ქეთი – **you like this. Remind me to not burn mchadi,ok?** (კაცი იღიმება) ცოტას შენც გაჭმევ. არ გიყვართ ჩვენი საჭმელები, მაგრამ ცოტას გაგასინჯებ, იქნებ მოგეწონოს. მოგეწონება? კიი.... ჭკუა მაქვს ახლა მე, შენ რომ ქართულად გელაპარაკები. დედას გეფიცები არ დაგცინი. ჩემი დასაცინი რა გაქვს. ეს ისე, ჩემთვის ვლაპარაკობ, რომ არ გავგიჟდე დარდით. ნეტავი ჩემი ბავშვები თუ არიან სახლში? რომელი საათია? ექვსია. იქ განთიადი შემოდის, სძინავთ ალბათ. გენაცვალეთ დედა. ერთი თქვენთან ჩამახუტა ახლა.

(კაცი წრიალებს რაღაცის თქმა უნდა)

ქეთი - რა იყო, მეტი აღარ გინდა? ცოტაც რაა... ერთი კოვზი. რა გინდა? ვაიმე მჭადი (და გარბის შემოაქვს დამწვარი მჭადი ტაფით) ხომ გთხოვე შემახსეთქო (კაცი იღიმება)

ქეთი - დამრჩი უმჭადოდ ოლი, იქნებ ზაზას შია, ახლავე დავაცხოვ მოზელილი მაქვს მაინც. ორ წუთში მოვალ მისტერ დევიდ, შენ მანამდე მუსიკას მოუსმინე (ჩართავს მაგნიტაფონს ისმის ზარის ხმა) (ალბათ აქ უნდა იყოს რომ შემოდიან ოლი და ზაზა)

ოლი - ქეთუსი როგორა ხარ? (ზაზა ქეთის კოცნის)

ზაზა - **hi how are you, mr.david ,you look great.**

ოლი - ეს კაცი ასე დაბორილებს ამ ეზოში, **hello....im happy to be with you.** (მიმართავს დევიდს)

ქეთი - იაროს რას გიშლის, ეზოს უვლის.

ოლი - არ გეშინია ერთხელაც, სახლში რომ შემოგივარდეს?

ქეთი - რას სულელობ, საცოდავი კაცია. ავადმყოფი. (მიუბრუნდება ზაზას) როგორა ხარ ზაზა? რა ხდება შენსკენ.

ზაზა - არაფერი, ერთი და იგივე ყოველ დღე.

ქეთი - მუშაობ ხოლ?

ზაზა - ხან კი ხან არა, ისე ჟუკას ვეხმარები.

ქეთი - ბევრნი ხართ? ახალი არავინაა?

ზაზა- არაა... ამ შაბათს გელოდებიან. თინა იყო მოსული. რაღაცა სუფრას აპირებს.

ქეთი - რა კარგია გავერთობით ცოტას. თიკა იქაა ისევ?

ზაზა - რა ქნას აბა.

ოლი -ამდენ ხანს რატომ ვერაფერი უშოვა ჟუკამ ნორმალური?

ზაზა – დადის დალაგებებზე. მგონი მიეჩვია კიდეც. მაგრამ ნერვებზეაა..... მტრისას.

ქეთი – კიდეც კინკლაობენ?

ზაზა – ამას კინკლაობა აღარ ქვია, ომია, ომი. ჟუკა და თიკა ერთად წყალბადის ბომბია.

(ოლი მიუჯდება მისტერ დევიდს)

ოლი – ამას ვენაცვალე, რა ჭკვიანია, ასე გაღიმებულია სულ?

ქეთი – კი.

ოლი – აბა სარა იყო, თუ იყო. ქალი კი არა ქარიშხალი იყო.

ქეთი – დაისვენებს ახლა ცოტას.

ოლი – ქეთი რაღაც დამწვრის სუნია.

ქეთი – ვაიმე მჭადი (გავარდება და შემოაქვს დამწვარი მჭადი)

ეს მეორეა, ერთი უკვე გადავაგდე.

ოლი – გადააგდე ეგეც.

ქეთი – აბა რა გაჭამოთ...ზაზა შენ გშიაა?

ოლი – შია, აბა არ შია? სამსახურიდან მოდის.

ქეთი – დავაცხოვ აბა ისევ.

ზაზა – არა, ქეთი არ მშია.თან ძალიან მეჩქარება.

ოლი – მოდი აქ ,ზაზას მიხედე მე დავაცხოვ. ზაზა ჭვიშტარი იცი რა არის?

ზაზა – არა, მაგრამ შემდეგ გამასინჯე უნდა გავიქცე.

ოლი – ორ წუთში ხელად გამოვაცხოვ. თან დააგემოვნებ და თან გეცოდინება რა არის.

ზაზა – ხომ არ მოგეხმარო.

ოლი – რა, სახელი რომ აქვს რთული, რამე ისეთი გგონია? ეგეც მჭადია. ოღონდ... ახლა ყველაფერს ხომ არ გეტყვი, მერე საინტერესო აღარ იქნება.

ზაზა – მიდი აბა თორემ დამაგვიანდა.

ქეთი – შენი საქმეები როგორ არის? იყავი ფოტოსესიაზე?

ზაზა – არა ჯერ.

ქეთი – რაღას უცდი, დროში არ ისწვები?

ზაზა – ვერ მოვადგი თავი.

ქეთი – დედა როგორაა.

ზაზა – უკეთ ვარო მეუბნება.

ქეთი – ნუ გეშინია, ახლა წნევა ყველას გვაქვს.

ზაზა – ნერვიულობს ჩემზე.

ქეთი – შენ რა გაქვს სანერვიულო, ნეტა შენნაირი ჭკვიანი ბევრი იყოს. პატარა ბიჭი ხარ და ორ ოჯახს ინახავ.

ზაზა – მაგას ნერვიულობს სწორედ.

(ქეთი მიდის მოხუცთან)

ქეთი – do you want something. are you cold. (ქეთი პლედს შემოახვევს და გასძახებს ოლის) ოლი რას აკეთებ?

ოლი – ამათი ფქვილი არ ვარგა, ხომ იცი, ძლივს შევკარი, იშლება. მაგის ნებაა, მაინც გამოვაცხოვ, მოვდივარ.

(შემორბის ოლი და იძახის) აბაა.... ჭვიშტარი ოფ–ოფ–ით. (ფეხები გაელანდება და წაბორძიკდება მჭადებს ჰაერში აისვრის, ზოგს

ზაზა იჭერს ,ზოგი ძირს ეცემა. ოლი მუხლებზე ჯდება და მჭადებს კრიფავს იატაკიდან. სამივენი იცინიან)

ოლი – ზაზა, შენ იცი ჭვიშტარი ოფ-ოფ-ით? (ზაზა თავს აქნევს) ხოდა ახლა გეცოდინება. სული შევუბეროთ და მივირთვათ გემრიელად.

ქეთი-ვჭამოთ?

ოლი – რა უჭირს მერე.

ზაზა – ჩემი წილი მომეცით და მე წავედი.

ქეთი – ბარემ წესიერად ჭამე.

ზაზა – არა, არა, მაგივანდება წავედი, მადლობა... (და გარბის)

ოლი – რა კარგი ბიჭია.

ქეთი – ზაზას რა სჭირს, უხასიათოდ მეჩვენება.

ოლი – ფოტოსესია ძვირი ჯდება და ფული ვერ შეაგროვა. ხომ იცი, ეგ ძმის ოჯახსაც ინახავს.

ქეთი – შენ ვინ გითხრა, რომ ვერ შეაგროვა.

ოლი – თიკამ. ძალიან ნერვიულობდა თვითონაც. თიკას ფული არა აქვს. ზაზას ანგარიშის ნომერი წამოვიღე.

ქეთი – ყოჩაღ, მე და შენ ერთ ტალღაზე ვმუშაობთ. ჩვენ გადავურიცხოთ. ვინ იცის, ეს მისი წარმატების მწვანე შუქი აღმოჩნდეს.

ოლი – ასეც ვიცოდდი, გულში გავლა ხარ ქეთი, გულში.

ქეთი – რას გაიხარებს.

ოლი – ეს ძველი კალენდარი რად გინდა?

ქეთი – ხშირად რომ შევახსენო ჩემს თავს, როდის ჩამოვედი.

ოლი – ისე, რა უცბად გარბის წლები არა?

ქეთი – როგორ ვიფიქრებდი ამდენ ხანს თუ შევრჩებოდი?

ოლი – მაგაზე უკვე მე სერიოზულად ვფიქრობ.

ქეთი – მორჩა, წელს უნდა წავიდეთ.

ოლი – წავიდეთ მერე. თუ გინდა ხვალვე.

ქეთი – იხუმრე შენ, იხუმრე.

ოლი – შენი ამბები მითხარი, რა ხდება სახლში,

ქეთი – რა გითხრა, ძალიან მიჭირს, უკვე ღამით მოლანდებები დამეწყო, ბავშვების ხმები მესმის.

ოლი – დაწყნრდი, კარგზე იფიქრე. იმაზე, რომ შენ მათი ბედნიერებისთვის ხარ წამოსული.

ქეთი – ვიცი, მაგრამ მაგათ ახლა უნდოდათ დედა. გამუდმებით ვეკითხები ჩემს თავს, ხომ არ შევცდი, იქნებ არ უნდა წამოვსულიყავი?!

ოლი – რავიცი, დავიბენი აღარაფერი აღარ ვიცი.

ქეთი – იქნებ ჯობდა...

ოლი – რა ჯობდა ქეთი იცი? დათო რომ წამოგეგდო იმ დივანიდან, გორაობით რომ ჩაანგრია.

ქეთი – დათო არ მიშვებდა...

ოლი – ვაი, შე საცოდავო, მაგისი რომ გჯერა.

ქეთი – რა მექნა გოგო, მაგისთვის რომ მეცადა, ბავშვები შიმშილით დამეხოცებოდა. მისი სამსახური დაიხურა, მერე ხან ვინ პირდებოდა და ხან ვინ, ვერაფერი ვერ იპოვა.

ოლი – სამაგიეროდ... ბოდიშს მოგიხდი გამოთქმისათვის, ვირი იპოვა. ვირი უჭირავს ახლა მოკლე სადავით... მიდის და მიუხარია. აბააა...

ქეთი – იცი რა გამახსენდა?

ოლი – რა...? აბა მიდი და მოწმინდე და გაულამაზე ნამუსი.

ქეთი – ახალი გათხოვილი ვიყავი, მე და დათო ბიძამისმა დაგვპატიჟა. დათოს ბიცოლა ყავდა, აი ისეთი, დასავლეთში, რომ იტყვიან მამალი ქალიაო, ცხენიან კაცს ჩამოაგდებსო. ექიმი ქალი იყო, კარგი შეხედული, რომ დამინახა, სახე გაეზადრა, ეტყობა მოვეწონე. „შვილო პატრონი არ გყავს, ამას რომ გამოყევით? მეწყინა, მაგრამ მაინც მორცხვად გავიღიმე. დათომ, რა რძალი მოგიყვანეთ ხომ ხედავთო და უშნოდ გაიღრიჭა. მოგვიანებით სუფრის ალაგებაზე მივეხმარე. სამზარეულოში მარტო რომ დავრჩით, მითხრა: კარგი გოგო ხარ და მეცოდებიო. დაიმახსოვრე შვილო, ქალმა კაცს კურტანი არ უნდა მოაშოროს, თორემ დაღუპულია მისი საქმეო. გავბრაზი, გულში გავიფიქრე, რას ბჟუტურობს ეს ექიმი ქალი, მეკურტნე და მენახირე ქმარი, რა ჯანდაბად მინდამეთქი. (მთელი საუბრის განმავლობაში ქეთი საქმიანობს)

ოლი – რა გინდა, მაგარი ქალი ყოფილა, კოჭებში შეუტყვია შენთვის.

ქეთი – მართალი უთქვამს იმ ცხონებულს, მართალი, მაგრამ ახლა რაღა დროს. კურტანიც ავიკიდე, კალათიც და მგონი ვირზეც ვზივარ.

ოლი – კალათზე გამახსენდა. გახსოვს კალათები რომ მოგვიქსოვა გიზო პაპამ წყნეთში?

ქეთი – როგორ არა, მახსოვს, ნეტავ იმ დროს.

ოლი – კიბე რომ მოგპარე და ხეზე დაგტოვე?

ქეთი – რა გემრიელი და ლალი ბავშობა გვქონდა. ჩემმა შვილებმა რა უნდა გაიხსენონ, მამა გარე-გარე დაეხეტებოდა, დედა კი ოკეანის გაღმა გვყავდაო.....

ოლი – დღიურებს, რომ ვწერდით და ერთმანეთს ვუგზავნიდით.....

ქეთი – სულ წერილის მოლოდინში ვიყავი.

ოლი – იცი... ის წერილები სუყველა შენახული მაქვს. შენ გადაყარე?

ქეთი – რას ქვია გადაყარე. ჩემი შვილებისთვის მინდოდა წამეკითხა. სიცილით დაიხოცნენ, არც მომისმინეს, კარგი რა დედა რა დროს დღიურებიაო. (პაუზა) ჩვენ რაღაც სხვანაირი ბავშვები ვიყავით . (ფანჯრიდან ჩანს კაცი მოძრაობს ეზოში)

ოლი – შიცვალა დრო. მოდის ახალი თაობა. ეს არის ტექნიკისა და პროგრესის ხანა. აბა, როგორ გინდა. ეს შენ დარჩი ღრუბელზე ჩამოკონწიალებული და დაბლა ჩამოხტომა არ გინდა. (ქეთი პამპერსს იღებს და დევიდთან დგას. ოლი ფანჯარაში იხედება)

ქეთი – ამაზე დაბლა სადღა უნდა ჩავხტე? (აჩვენებს პამპერსს) მითხარი და ჩავხტები ბარემ. (დევიდი გაყავს და მალე ბრუნდება)

ქეთი – დავაწვინე.

ოლი – ამას რა სჭირს? (აჩვენებს კაცზე)

ქეთი – ერთი საცოდავი კაცია, 10 წლის ყოფილა ავარიაში მოყოლილა მშობლებთან ერთად. მანქანა ხევში გადავარდნილა, საცოდავები დილამდე ვერავის უპოვნია. პატარა ბავშვს მთელი ღამე მკვდარ მშობლებთან გაუთევია. მის მერე ფსიქიკა შეერყა თურმე, ვერაფერი უშველეს. ასე მუშაობს ყველასთან. ჩუმადაა და ვერ გაიგებ როდის მიდის და როდის მოდის, არის თავისთვის, არავის არაფერს უშავებს. ერთი წუთი მაგის გაჩერება არ არის, სულ რაღაცას აკეთებს.

ოლი – საწყალი.

ქეთი – ძალიან მეცოდება , ხანდახან ვაჭმევ კიდეც.

ოლი – ეგლა გაკლდა. (ოლი მაგიდასთან ბრუნდა და ყავის ჭიქას ჩასცქერის) იცი რა მოვიფიქრე?

ქეთი – რა?

ოლი – მოდი დღიურები ვწერთ, ძველებურად წერილებით გამომიგზავნე.

ქეთი – კარგი რა, მაგის ნერვი მაქვს? ან რა უნდა მოგწერო, დილით რას ვაჭმევ მისტერ დევიდს თუ პამპერს რომელ საათზე ვუცვლი?

ოლი – არა ეგენი არა.

ქეთი – აბა რა? სხვა ცხოვრება მე აქ არ მაქვს. (აჩვენებს ფანჯრისკენ) ამ შტერი კაცის მეტს ირგვლივ ვერავის ვხედავ, ირმები მოდიან ხანდახან..... იქაური პრობლემები შენ ჩემზე კარგად იცი. რა უნდა მოგწერო?

ოლი– დაივიწყე ყველაფერი. შენ ხომ ყოველთვის ჩემზე უფრო საინტერესოდ წერდი. შენი ლექსები რომ მახსენდება, დათოს დახრჩობა მინდა.

ქეთი – შეეშვი ამ დათოს, ისედაც დაკარგული კაცია.

ოლი – დაკარგული კი არა, თავადი ვარო, დაგავიწყდა? თქვენ თავდახრილი უნდა მელაპარაკებოდეთო. ამართლებს კიდეც თავის გვარიშვილობას, ხომ გამოჭიმა გამოსაჩენ ადგილზე ჩარჩოში ჩასმული საგვარეულო გერბი. არიქა, არ დაგავიწყდეთ ჩემი სტატუსიო. ასეა... ჩემო დაიკო, თავადები თავადობენ და არიან განცხრომაში. გლუხები აგერ ვართ, ააა, პამპერსების ცვლაში.

ქეთი – შენ აქ ჩემი გული გასახეთქად ჩამოხვედი?

ოლი – არა ჩემო კარგო, არა. საკუთარი თავის უპატივცემულობას ვტირი.

ქეთი – ძალით არავის გამოვუგდივართ.

ოლი – ჩვენი უბედურებაც ეგაა. (პაუზა. ჩუმად სხედან)

„სიყვარულისთვის არ არსებობს დრო და მაძილი,

შენ ღვთიური ხარ, მე კი შენი სულის ნაწილი

ვპოვო შენს მკერდზე სიხარული , ჯერ არ განცდილი.

გიტხრა, მოვედი, მიმიჩინე მაგ შენს გულში ჩემი ადგილი.“

ქეთი – აღარც კი მგონია ჩემი დაწერილი თუა.

ოლი – შენია, შენი ჩემო ლამაზო, ჭკვიანო, ნიჭიერო. შენ მე ნუ მისმენ, ხომ იცი ხანდახან ძალიან ცუდი ვარ და ცოტას ვაფრენ კიდევ, ყველაფერი კარგად იქნება. ჩვენ ხომ გასკონელი გვარდიელები ვართ. (წამოხტება, ჩართავს მუსიკას, იწყებს ცეკვას, ქეთის ეღიმება, მერე თვითონაც იწყებს ცეკვას. თანდათან მოვლენ ხასიათზე და გიჟობენ. ოლი შეჩერდება)

ქეთი - იცი, ამასწინათ რა გავაკეთე? სარდაფში ცარცი ვიპოვნე, გავიტანე და ეზოში დავხაზე, არ დამცინო, კლასობანა ვითამაშე.

ოლი – არ გამაგიჟო, მეც მინდა.

ქეთი – შენ რომ არ მყავდე რა მეშველება. ოლი დღეს რა დღეა?

ოლი – ოთხშაბათი. რა იყო?

ქეთი – ეს კვირა რაღაც ძალიან გაიწელა. ხუთშაბათი, პარასკევი, კიდევ ორი დღე.

ოლი – დღევანდელი დღე არ მიათვალო გადავაგორეთ, უკვე. წამო, გავიაროთ.

ქეთი – სად უნდა გავიაროთ გვიანია

ოლი – კარგი , ისე დავჯდეთ აივანზე, გავნიავდეთ. წამო, წამო მველებურად ვარსკვლავები დავთვალოთ. პლედი წამომიღე.

ქეთი – რა ბედნიერებაა. ერთი სული მაქვს როდის მოვა შაბათი. თითქოს სახლში მივდივარ, ჩემიანებში. შენ? (იღებს პლედს და ვაშლებს)

ოლი – ქეთი აქ ირმები მართლა მოდიან?

ქეთი– კი.

ოლი – ცოტა პური წამოიღე (ქეთი პურს იღებს და გადიან)

მესამე სურათი

ქალები სუფრას აწყობონ. თიკა დადის რვეულით და რაღაცას ჭამს.

თინა – რას გავს შენი საქციელი, მოიცა ცოტა ხანს მოვლენ გოგოები და ყველა ერთად დავჯდებით.

თიკა – მე შეიძლება ადრე წავიდე, ზარს ველოდები.

თინა – სად მიდიხარ?

თიკა – აგენტს უნდა შევხვდე.

თინა – მოკლედ, შენ ველარ მორჩი ამ აგენტებთან სირბილს. ახლა რა არ მოგეწონა? ჰე, მიპასუხე? გოგო შენ აქ მინისტრად არავინ დაგნიშნავს, შეიგნე ეს, რომ მოსამსახურე ხარ, მ ო ს ა მ ს ა ხ უ რ ე .

თიკა – გემლება საყვარელო. მოსამსახურე ხარ შენ, რით ველარ გაგანათლე – Care giver (ქეარ გივერი –მომვლელი) გაიგე?

თინა – ქეარ გივერი ხარ თუ გირვანქანახევარი ჩადი ახლა დაბლა და ნამცხვრები ამოიტანე.

თიკა - ოოო... მეზარება, გოჩა ჩააგზავნე.

თინა – გოჩა ღვინის მოსატანად წავიდა.

თიკა – ჩემი ქოშები სადაა? ასე ვერ ჩავალ.

თინა – გოგო, შენ რავა პასიკია ფრახივით სულ ქოშებს დაეძებ.

თიკა – სად ჯანდაბაშია? ჟუკაა.....ჩემი ქოშები სადაა...

ჟუკა – ნუ წიკვინებ ერთი, მთელი ბრუკლინი შლოპანცებით დატყაპუნობს და შენ ნუ გაქვს ეს ქართული გამობტომები.

თიკა – მოკლედ, ფეხი რომ დაგრჩეს გარეთ მოგაჭამენ.

ჟუკა – აბა არ იცი (შემოდის ოლიკო)

ოლი – გამარჯობა ხალხო, რა ხდება ვქეიფობთ? (კოცნის ყველას)

თიკა – დღეს ტიტკოს ქორწილია, ქორწილი, თინამ ბიჭი დააქორწინა. დავაქორწინეთ მამაშ.....

ოლი – გილოცავ ჩემო კარგო, აკი ჯერ არ აპირებდნენ.

თინა – რავიცი, ასე გადაწყვიტეს, მე ვინ რა მეკითხება.

თიკა – ვაიმე, გამაგიჟებ! ველარ გაიგე ადამიანო? რომ შენ დიდი ხანია მანქანა ხარ, ფულის საჭრელი მანქანა და მეტი არაფერი. წკააპ..... ჩამოვარდა ას დოლარიანი..... წკაააპ..... ჩამოვარდა მეორე, (ამას ყველაფერს ანსახიერებს) ხოდა ჭკვიანად იყავი, რომ არ გაფუჭდეს მანქანა, თორემ..... აი და.... და... და... და ზესტაფონს ვინ გაღირსებს შე საცოდავო, აგერ გადაგისვრიან სვალკაზე. ასე ააა.... ბჟჟჟ და ბააახ! (აფეთქებს)

ოლი – ეს სულ გაგიჟდა? გოგო შენ როდის უნდა დაჭკვიანდე?

გახვედი სამსახურში?

თიკა – ჯერ არა.

ჟუკა – რა ეჩქარება..... აქაც კარგადაა, ქირა მაგას არ ეგონება და სუპერვაიზერი არ ადგება კარზე.

თიკა – ჰო, კაი, კაი ახლა, ნუ დაიწყე ტირილი, მოგცემ მაგ შენ კაპიკებს ნუ გეშინია.

ჟუკა – როდის მომცემ მაინც, როდის?

თიკა – აი, გავთხოვდები ახლა და (ოლიკოს თვალს უკრავს) ყველაფერს ერთად გადაგიხდი.

ჟუკა – ნეტა შენ ვინ წაგიყვანს, შენნაირი ჭკუამხიარული იქნება ალბათ.

თიკა – რავიცი, ჭკუამხიარულები მოდაშია აქ (ჟუკა გაბრაზებული გადის)

ოლი – გოგო ნუ გააგიჟე ეს ქალი, გეყოფა ახლა.

თიკა – კარგი ერთი, რას გიჟდება მერე, ვხუმრობ.

თინა – არ გაგიგია, ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი, ნახევარი მართალი თუ არააო (თიკა ქოშებს გამოათრევს)

თიკა – უი, მეე , თქვენთან ხო ხუმრობა არ შეიძლება. აბა როგორი უნდა ვიყო: ყავა მომართვი – დიახ, ბატონო. წყალი მომიტანე – დიახ, ბატონო, ჯანდაბა მომიტანე – დიახ, ბატონო (ქალები იცინიან) მომეცი ქალო ეგ ფული თუ მაძლევ და წავალ. ცოტა ხნით მაინც დაგასვენებთ, მაინც ელეთმელეთი ემართება ზოგიერთებს ჩემს დანახვაზე.

ოლი – შენც კარგი მაიმუნი ხარ.

თიკა – რა ვქნა ჩემო საყვარელო, ამ საგიჟეთში ზოგი ადრე გიჟდება და ზოგი გვიან (თიკა გადის)

ჟუკა – ოლიკო ხომ იცი, შენ და ქეთის როგორ პატივს გცემთ, მერიდება კიდევ ამის თქმა.

ოლი – რა ხდება ჟუკა? თუ რამე შემიძლია....

ჟუკა – ამბოლო დროს თიკა ძალიან მაღიზიანებს. სულ ცდილობს მდგომარეობიდან გამომიყვანოს. იკბინება შემოდგომის ბუზივით. გეფიცები, მე და ნიკოს შორის არაფერი არ ხდება, უბრალოდ მეგობრები ვართ, ხანდახან მეხმარება და აეროპორტში მიმყვება, აი სულ ეს არის.

ოლი – კი მაგრამ ჟუკა , მე რატომ მიყვები ამას, შენი საქმე შენ იცი, თუნდაც იყოს რაიმე.....

ჟუკა – არ მოგატყუებ.... მოწონებით ნიკო ძალიან მომწონს, მომწონს და მეტი არაფერი. თიკა ისე იქცევა, ნიკო გაშტრებული უყურებს. დაელაპარაკე, შენს სიტყვას დაიჯერებს, ჩემს ნერვებზე ნუ თამაშობს. ერთხელაც იქნება თმებით ვითრევ. არაფერი შეეშალოს ჩემთან, მე მაგას თავისნაირი ხომ არ ვგონივარ.

ოლი – აბა ეგ რა ლაპარაკია. რანაირი თავისნაირი? თიკა ძალიან კარგი გოგოა. შენც ხომ იცი რამხელა სტრესი აქვს გადატანილი. მაიმუნობს, ხუმრობს, ხალისობს თავისთვის.

ჟუკა – ეგ მაიმუნობს და მე ნერვები დამეგლიჯა.

ოლი - შენ რა? სერიოზულად ამბობ?

ჟუკა– სერიოზულად და მეტი არა? ქალი ჭკუაზე აღარა ვარ. ეგ ტუტუცი ეგა, წუხელ ნიკო სიგარეტის მოსაწევად გავიდა, ცოტა ხანში ეგეც გამოხტა ოთახიდან შიშველ-ტიტველი და ატეხა ერთი წივილ-კივილი. არ ვიცოდი აქ თუ იყავი, წყალი მინდოდაო. ამ

ჩერჩეტს ხომ მეტი არ უნდა, გადმოქაჩა თვალები და დარჩა ასე (ანსახიერებს ყბაჩამოვარდნილს . ოლიკო იცინის)

ოლი – გითხარი, შენ გაბრაზებს.

თინა – ქეთი არ მოვა?

ოლი – კი. ფულს აგზავნის, საცაა მოვა. რიგი იყო და მე არ გამაჩერა.

თინა – მიყვარს ეგ გოგო. მაგას რომ ვუყურებ რაღაცნაირი სიმშვიდე მეუფლება.

ოლი – ჩემი ქეთუსია? ოქროს გოგოა.

თინა – რას შვება მაგის სულელი ქმარი, სვამს ისევ? კუზიანს სამარის მეტი ვერაფერი გაასწორებს. ნერვიულობს აბა ქეთი ხომ?

ოლი – კი ძალიან, მაგრამ რა ქნას აქედან რას გააწყობს. თან ბავშვების დარდი აქვს. (შემოვარდება ჟუკა)

ჟუკა – მოდი ერთი, გადაიხედე. მელანდება და მაბრაზებს ხო? გავგიჟდები ნამდვილად.

ოლი – გასაგიჯებელი რა დაინახე ახლა?

ჟუკა – სად ნახა მაინც ასე უცებ, სად იპოვა?

ოლი – შემთხვევით შეხვდენენ ალბათ. ქეთიც მაგათთანაა ვერ დაინახე?

ჟუკა – შემთხვევით არა? მაცალოს მაგან, რომ გავსვამ ამაღამ გარეთ. (შემოდინა ქეთი, ნიკო და თიკა ხმაურით. უცბად უხერხული სიჩუმე ჩამოვარდება ნიკოს ტორტი მოაქვს)

თიკა – უკაცრავად, პირდაპირ დამხვრიტავთ თუ მათქმევინებთ ბოლო სიტყვას?

ჟუკა – მასხარა. ნიკო ერთი წუთით საქმე მაქვს შენთან. (გადის)

თიკა – სასამართლო გადის განაჩენის გამოსატანად . OH MY GOOD

ქეთი – თიკაკუნა გენაცვალე, შენ რომ არ იყო, ჩვენ ალბათ სულ კვნესა ვაებაში ვიქნებოდით, ამ ჩვენი უბედური ცხოვრების გადამკიდე.

თიკა – უღრმესი მადლობა, თქვენ მაინც რომ დამაფასეთ

ქეთი – ქალბატონო თინა გილოცავთ, ღმერთმა სულ ბედნიერი გიმყოფოთ.

თინა – გაიხარე შვილო. შენ როგორა ხარ ჩემო ანგელოზო?

ქეთი – რა ვიცი, ხან ისე ხან ასე, ვუძლებ, მეტი რა გზა მაქვს.

თინა – შენ ისეთი ღვთისნიერი გოგო ხარ, კარგად უნდა იყო.

თიკა – ერთხელ მეც რომ მომეფეროთ მასე არ შეიძლება?

თინა – გეფერები შე სულელო, აბა არ გეფერები? მაგრამ ხანდახან ძალიან გიჟობ.

თიკა – ისე კი, დავიღალე, მართალი ხარ თინიკო.

თინა – დაიღლებოდი აბა არა? რაც შენ აგენტებში დარბიხარ.

ქეთი – რა მოხდა თიკა, ისევ წამოხვედი?

თიკა – შანსს არ გამაზავდა თავის ძუნძგლიან ხელებს ხან სად მიფათურებდა და ხან სად.

თინა – კარგი გოგო... ალცაიმერიანი კაცი რაღაცას ბოდილობდა.

თიკა – მისი შვილი რომ მოდიოდა, მაშინ ხომ არ იყო ალცაიმერიანი? იჯდა თავისთვის ჭკვიანად. წავიდოდა თუ არა ის კიკიმორა, მაშინვე იწყებდა წრიალს, ხან რას ითხოვდა და ხან რას. ოღონდ ახლოს მივსულიყავი. ამას წინათ, საჭმელს ვაჭმევდი, ხელი რომ ვერ გავაშვებინე, გამწარებულმა ისეთი ჩავცხე

თვალეზიდან ნაპერწკლები წამოსცვივდა. დავურეკე მის შვილს და მივდივართქო ვუთხარი Whats going on - იკივლა. ჰოდა..... გოვენ ჩემო თინა გოვენ და წამოვედიიი.

ოლი – გენცვალე ჩემო პატარავ, რა დღეში გაქვს ნერვები.

ჟუკა – რა ვიცი მანჭვა-გრეხვის თავი კი აქვს.

ქეთი – კარგით ხალხო, ახალგაზრდაა და შეარგეთ ამ ბავშვს რაღაცა.

ჟუკა – ბავშვია ჰო. აღუუ.... ნეკზე არ მიკბინოს.

თიკა – უი..... გთხოვთ ფეხზე ავდგეთ სასამართლო მოდის.

ჟუკა – აა, შეხედეთ , რა უნდა ელაპარაკო ამას.

ქეთი – კარგით ახლა, მომენატრეთ. მეგონა ერთ ლამაზ დღეს მოვიწყობდით. დავჯდეთ ეხლა ვის ველოდებით?

თინა – გოჩას. ღვინოზეა წასული.

თიკა – უკაცრავად? ღვინის საყიდლად გაგზავნეთ თუ დასაწურად?

თინა – ამის საშველი არ იქნება არა. (თიკა ქეთის მიუჯდება)

ქეთი – თიკა რა გჭირს? რა ხდება მითხარი..... თიკა რამე ხდება და მე არ ვიცი? ხომ იცი ყველაფერს გაგიგებ ჩემო გოგო. ნიკო? (თიკა გაშტერებული თავს უქნევს) რამე სერიოზულია თუ ისე ფლირტი?

თიკა – სერიოზული..... ძალიან სერიოზული

ქეთი – რააა....

თიკა – ქეთი, ძალიან დავიღალე, ყელში ამომივიდა ყველა და ყველაფერი. აღარაფერი აღარ მინდა. (უცებ) არა..... გატყუებთ. შემიყვარდა, შემიყვარდა, აღარც კი მეგონა თუ ვინმე

შემიყვარდებოდა, ისე ვიყავი დაცლილი. და უცებ ნიკო დავინახე. რამდენი ხანია აქ ვარ და ვერასოდეს ვამჩნევდი მის არსებობას და უცებ დავინახე. ჯერ გამიკვირდა, მერე შემეშინდა, მერე ვეცადე შორს დამეჭირა თავი, გოჩას გავეკეკლუცე.....მივხვდი თავს ვიტყუებდი. (სასოწარკვეთილი) რა ვქნა მიყვარს. რა მეშველება ახლა მე?

ქეთი – იმას უყვარხარ? (თიკა თავს უქნევს)

თიკა – ვაიმე რა გავეშველება? ჟუკა გაგიჟდება. ნიკო იფიცება ჩვენს შორის არაფერი არ არის, მსუბუქი ფლირტის გარდაო.

ქეთი – რას აპრებთ? ოლიმ იცის?

თიკა – ხვდება რაღაცას

ქეთი – თვითონ რას გთავაზობს?

თიკა – გავიპაროთ და ჯვარი დავიწეროთო. ბინაც ნაშოვნი აქვს.

ქეთი – შენ რას ფიქრობ?

თიკა – მე ძალიან მეშინია. დედა მე არ მყავს და მამა. ბიძაშვილებია და ცხრა მთას იქით არიან. ისე მოგეჩვიეთ, თქვენ ხართ ჩემი ოჯახი. ახლა გამოდის, რომ ოჯახს ვღალატობ. თქვენი დაკარგვა არ შემიძლია. ნიკო მიყვარს... მაგრამ მეშინია, თქვენ რომ ხელი მკრათ ვერ გადავიტან. მითხარით რა ვქნა? ძალიან გამიჭირდება. მიშველეთ რაღაცა. (ჩაეხუტება ქეთის. ოლიც მოვიდა)

ქეთი – ოლი, რა ვქნათ?

ოლი – არაფერი. თიკა დაწყნარდი . შენ ჭკვიანი გოგო ხარ. კარგად დაფიქრდი, პატარაც აღარა ხარ. აწონდაწონე და ისე გადაწყვიტე ყველაფერი. ახლა ცრემლები მოიწმინდე და ნუ ჩაამწარებ დღევანდელ დღეს თინას. აბა ჰე, ადექი, გაიქეცი პირი დაიბანე.

(ფეხების ბრახუნით შემოდის გოჩა)

გოჩა – მოვედიიი. გამარჯობათ გოგოებო. თინა დეიდა, დამაგვიანდა, სამაგიეროდ ისეთი ღვინო მოვიტანე დიდებული .

(ბიჭები ღვინის ჩამოსხმას იწყებენ)

თინა – მოდით, ახლა მოდით.

ჟუკა – ნიკო სკამები გამოიტანე ჩემი ოთახიდან. (ნიკო ფანჯარასთანაა, არც განძრეულა. სკამები ჟუკას შემოაქვს. თინას შემოაქვს ხაჭაპურები)

თინა – აბა ცხელ-ცხელი ხაჭაპურები, გადაიღეთ შვილო.

ოლი – ვაიმე, რა გემრიელია, სახლი გამახსენდა.

ქეთი – ზაზა სად არის, მუშაობს?

ჟუკა – ხო, ცოტა გვიან მოვა.

ქეთი – ხაჭაპური შევუნახოთ.

თინა – კი, მაგისტვის ცალკე გადავდე.

ქეთი – თამადა, თამადა გვინდა. ნიკო გვითამადე და დაგვაღევიწე ერთი ორი ჭიქა.

ოლი – შენ დიდი დამღევი ხარ

ნიკო– არა რაა, ძალიან დაღლილი ვარ და თან წასასვლელი ვარ. მოგვიანებით უნდა გავიდე. აგერ გოჩა..... გოჩას გაუმარჯოს.

გოჩა – რა არის ახლა ხვეწნა გინდა?

ნიკო – კარგი რა, ძმურად, არა გრცხვენია?

გოჩა – რახან არ იშლით, ვსვამთ ბოლომდე. ქალბატონო თინა თქვენს ზურას გაუმარჯოს, ბედნიერება, გამრავლება, აშენება, დამშვენება, დღეგრძელობა და მზეგრძელობა ვუსურვოთ. აბა ერთად გაუმარჯოს . არ ვარგა.... გაუმარჯოს. კარგია .

(იწყება ქეიფი, გადაწოდება გადმოწოდება, ჭამენ, შემოდის მუსიკა და კადრი იყინება. სათითაოდ ენთება ყველას სახე და ფიქრები ხმამაღლა.)

ქეთი – ნეტავ ჩემი ლუკა სად არის? აბა შენ იცი ლანა, დედიკო ლუკას როგორ მიხედავ. მამაშენი კი მოუვლის თავის თავს, არ დაიკლებს არაფერს. დათო..... არაფერს არ შეგეკითხები, რა გააკეთე, რა გააფუჭე, ოღონდ ბავშვებს მიხედე, ბავშვები დამახვედრე კარგად.

ოლი – საქართველოში მინდა, ფიქრიც კი მაშინებს, რომ მახსენდება რა შორს ვარ ჩემი სახლიდან. ღმერთო გევედრები, ცოცხალი დამახვედრე ჩემი დედიკო. ჩემო ლამაზო, როგორ მიგატოვე. გული მიკვნესის შენი ცრემლიანი თვალები, რომ მახსენდება.

ნიკო – არა, არა , დღეს უნდა დავამთავრო ყველაფერი. ან დღეს ან არასოდეს. დღეს, დღეს, დღეს.....

თიკა – ღმერთო დამეხმარე, ღმერთო მიშველე. საშინელი, საძაგელი გოგო ვარ. ჟუკა მაპატიე, ჩემი ბრალი არაა, თვალებში ვერ გიყურებ. ამხელა ამერიკაში რაღა ეს ნიკო შემაყვარე ღმერთო? სხვა ვინმე ვერ გამომიგზავნე?

ჟუკა– ეს ამ საღამოს რაღაცა ცუდად არის გაჩუმებული. არც ჭამს, არც სვამს. ამ ქალბატონმა დღეს მთლად გაუტია. არა, უნდა გავაგდო. ვაიმე, ნიკო რა სახე გაქვს.

თინა – ბედნიერი იყავი ჩემო ბიჭო, მოგეცადა შვილო ცოტა. შენს უბედურ დედას კიდევ ტვირთის დამატება უნდოდა? რა დროს შენი ცოლი იყო. დაგემთავრებინა სწავლა. აწი შენ დასაც ვეღარ მივხედავ, ცოლს ბევრი ხარჯი აქვს. მოგეცადა ჩემთვის, მეც მენახა შენი ბედნიერება. ეჰ, რა ვიცი, იქნება მასე ჯობია. ვინ იცის ცოცხალიც ვერ ჩამევიდე და ჩემი მოცდა შენ რას გარგებს.

გოჩა – ნეტავი ახლა, ჩემს სახლში, ჩემს ბუხართან დამსვა. ავაგიზგიზებდი დიდ ცეცხლს, მივიდგამდი ტაბლას და მე და მამაჩემი მოვყვებოდით ამბებს. ძველსა თუ ახალს. იქნებ ისეთი დრო დადგეს, ასე ერთად ყველა ჩემს ბუხართან ვისხდეთ. აუ, რას გაიხარებდა მამაჩემი..... რძალსაც თუ ჩავუყვანდი ბავშვით ხელში, ცოტას კი გაიოცებდა ჟუკა რა სახელიაო. თვითონ მაინც ჟუჟუნას დაუძახებდა. რა ვქნა ჟუკა , რა გავეკოთო, რომ შემიყვარო.....

(უცებ აინთება შუქი, ქალები იცინიან, ყველა კარგ ხასიათზეა, შემოდის ზაზა. რეპლიკები – უი, ზაზა მოვიდა, ზაზული მოდი გაკოცო, სად იყავი ბიჭო ამდენ ხანს)

ზაზა - კამპანიას გაუმარჯოს. რა უქენი ბიჭო, ამ ხალხს რა დააღვინე ასეთი? (ზაზა ყველას ჩამოუვლის)

თიკა - ზაზუკა მიყვარხარ

ზაზა – მეც მიყვარხარ თიკა.

თიკა - მოდი მე და შენ ვახტანგურად დავლიოთ.

ზაზა – დავლიოთ.

ჟუკა – აცალე გოგო სულის მოთქმა.

თიკა – ჰე, მოდი ახლა.....

ზაზა – ერთ ლუკმას შევჭამ და დავლიოთ, ძალიან მშია.

თიკა – ამას შია, ამას სწყურია (გოჩას) უი, ეს როგორ იბღინებდა (ნიკოს) თქვენ ნაღველი გაწუხებთ არა? (თინას) უკაცრავად თქვენ ბოღმა ხო.....(ჟუკას)

ქეთი – თიკა გეყოფა. ლაპარაკობს ადამიანი. მერე თინა მერე. გააგრძელე , ამდენი არ მიცინია კარგა ხანია.

თინა – ჩემი მუშაობის პირველი დღეა, გეიქცა ყველა საცხა– საცხა. დამიბარეს რამე გააკეთეო. დამიბარეს რა.... მე ინგლისური არ ვიცოდი და იმგენმა ქართული. რაღაცა ამიხსნეს ხელებით და ვითომ გევიგე. მოხუცს სძინავს. ვიფიქტრე პირველი დღეა, თავს მოვაწონებთქვა. ფარში დამხვდა მაცივარში, იქნებოდა ასე ერთ კილომდე. შევაზავე კარგად და დავახვავე კატლეტები. მოვძებნე კარტოფილი, გავაკეთე კაი ბლომად პიურე. მოვითავე ეს ყველაფერი და მივხედე ბებერს. მობრძანდნენ სალამოს, კარებიდანვე დეიძახა კაცმა კარგი სუნიაო. შემოვიდა ის კუზიანი ქალი და კატლეტები , რომ დეინახა ხმა ჩაუვარდა . ვერ მივხვდი რა მოხდა. აგერ, მე ვუთხარი პიურეც გავაკეთე და მოვხადე ქვაბს სახურავი. მტრისას რომ გადმოყარა თვალეები, დავახურე სასწრაფოდ. ქვაბში არ ჩაცვინდესთქვა. (ყვება გაფორმებით. ქალები იცინიან) რავარც იქნა გაშავდა კუხნიდან. გავაწყვე მაგიდა და ავიტუზე იქვე. შემევიდა კაცი და ახლა ამან ვაუუ....თქვა. დავილუპე ვიფიქრე, რაღაცა ისე ვერაა საქმეთქვა. შემოშავდა ქალი და სოდა - სოდაო მითხრა. არა, რავა გეკადრება, სოდა არ მიქნიათქო. არა....სოდა მეიტანეო. გამოვალე კარადა და კი იყო სოდა დავდგი მაგიდაზე. უცებ გაჩუმდნენ, თან ერთმანეთს გადახედეს. სოდა– სოდაო კიდე მითხრა და სოდის ყუთი ჩემსკენ მოაჩოჩა. თან მაცივარზე მიმითითა. მივხვდი, ვეტაკე მაცივარს, გამოვიღე წყალი და ჩოვუშვი სოდა შით. ეს ისე სწრაფად ვქენი მე თავად გამიკვირდა და შემოვდგი წყალი მაგიდაზე. OH MY GOOD იკივლა ქალმა და წამოხტა. მე საცოდავმა ჩემოდნის ამოლაგება ვერ მოვასწარი და კი იდო ისევ კარებთან. სტაცა ამ ჩემოდანს ხელი, გეიტანა გარეთ და დადგა გარაჟის წინ. დაჯექიო მიბრძანა. ინტიქტურად დავჯექი. ვზივანარ გევიდა ნახევარი საათი. გევიდა ერთი საათი და როის როის მევიდა ის ჩემი ცოდვით სავსე აგენტი. მე საცოდავმა მერე გევიგე, სოდა კოკა-კოლა და რაცხა

ამნაირები ყოფილა და ერთი კილო ხორცი თურმე მთელ კვირას უნდა ყოფნოდათ. მაგენი გაწყდნენ, ორი კარტოფილის პიურეს აკეთებენ თურმე.

ოლი – შენ გაიხარე თინა რამდენი ვიცინე

გოჩა – შენც ხომ შეგეკითხა ვილაცა, ტელევიზორი თუ გინახავსო (თიკას)

ოლი – კარგი არ გამაგიჟოთ მაგნაირებიც არიან?

თიკა – კი, ამათ ჩვენ პაპუასები ვგონივართ.

ქეთი – რაო, რა გკითხა?

თიკა – ერთ ოჯახში მოვხვდი. ორი ერთნაირი სკამი არ ედგათ. ქალი იყო..... ას კილოიანი გასკდომას არაფერი აკლდა. მიმიყვანა და მაჩვენა . 40-იან წლებში რომ ტელევიზორები იყო რაღაცა უზარმაზარი უკანა ნაწილით და მეუბნება: ეს ტელევიზორია. თქვენ გაქვთ ტელევიზორი? მე მხრები ავიჩეჩე, მერე პულტზე მაჩვენა, ამას ხელი არ ახლო, რამე სხვაგან არ დააჭირო, თორემ შეიძლება აფეთქდესო. თან დამაჯერებლობისათვის ვაშლი ისე ჩაკბიჩა, წვენი კისერში ჩაეღვარა. ისე გავმწარდი, ერთი კარგად შევუკურთხე ჩვენს მთავრობას. აფსუს ამ უწიგნურს, რომ უნდა ვემსახურო ეს ჟურნალისტი ქალი თქო.

ოლი – თიკა, არ დაგავიწყდეს ჩვენ აქ არავის მოვუწვევივართ. ამ ქვეყანამ, კეთილი ნებით კარი გაგვიღო და შეგვიფარა. რას ერჩი, უწიგნურია თუ უსახური თავის სახლშია.

გოჩა – მაგრამ არა უშავს, ესეთები ხომ ერთეულები არიან. ჩვენ მაინც მაგრები ვართ.

ზაზა – რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ.

(იღებს გიტარას და იწყებს სიმღერას. მღერიან, მერე გადადიან ცეკვაზე. ყველამ დაივიწყა თავისი დარდი. ცეკვავენ. თინას კუნტრუშზე იცინიან)

თინა – მეტი აღარ შემიძლია. (დაჯდება დივანზე. თიკა მიდის ზაზასთან და თავზე კოცნის)

თიკა - ე ბიჭო,დამალევიანე ეს ვახტანგური.

ქეთი – არ გინდა მეტი თიკაკუნა აღარ დალიო (თიკა ქეთისკენ დაიხრება)

თიკა – ისე ვერ გავბედავ, დავლევ თორემ ვერ გავბედავ. დღეს თუ ვერ გადავწყვიტე, ხვალ ალბათ გადავიფიქრებ. ქეთი გეხვეწები დამირეკე მობილურზე, გეხვეწები დამირეკე.

(ქეთი იღებს ტელეფონს ოლი უშლის)

ქეთი – ნამდვილად გინდა რომ დაგირეკო?

თიკა – ჰო, ჰო, მიდი, მეტი აღარ შემიძლია ეს ტინგიცი. მიყვარხარ ქეთი, მიყვარხარ ოლი. (იღებს ჭიქას) მიყვარხართ ყველა მიყ–ვარ–ხართ. (სვამს, ისმის ტელეფონის ზარი) უი, მირეკავენ. (იღებს ტელეფონს) დიახ, მე ვარ. ახლაა... ასე გვიან? კი, ბატონო ახლავე გამოვალ (ეძებს ქოშებს) ჩემი ქოშები სადაა?

თინა – ამ შუალამისას სად უნდა წახვიდე გაგიჟდი? გაყევით ვილაცა თან ნასვამია.

გოჩა – მე გავყვები რა პრობლემაა. (წამოდგება ბარბაცებს)

ნიკო – ასე სად უნდა გაყვე. მე წავიყვან,მაინც უნდა წავსულიყავი საქმე მაქვს.

ჟუკა – ნიკო.... (გახედავს) მალე მოხვალ....

ნიკო – არ ვიცი შეიძლება, ვერ მოვიდე.

თინა – აბა, ამას უკან ვინ მოიყვანს.

თიკა – წავედი. მიყვარხართ.

(ნიკო მიდის გოჩასთან)

ნიკო – გოჩა იცოდე, ნიკო შენი ძმია, უღალატო და მართალი.
ნახვამდის გოგოებო (დინჯად გადის)

ოლი – ქეთი ხომ ვრჩებით?

ქეთი – ხვალ საღამომდე თავისუფალი ვარ.

ოლი – მაშინ ხვალ მაღაზიებშიც გავივლით.

ქეთი – მე პაას..... ბოლო კაპიკამდე დათოს გავუგზავნე.

ოლი – რამდენჯერ გითხარი მთლიანად ნუ უგზავნითქო. რაღაცა
გადაინახე, რა იცი რა ხდება.

ქეთი – შემჭამა, ბიზნესს ვაკეთებო.

ოლი – ახლა გამოისხა ფრთები?

ქეთი – ნულარ მაღიზიანებ, გაღიზიანებული ვარ უკვე. არ
დავამთავროთ ხალხო?

გოჩა – ქეთი, მოდო მე და შენ ერთი ვახტანგური დავლიოთ და
დავამთავრებ.

ქეთი – რას ამბობ ბიჭო როდის მნახე, რომ ვსვამდი. წვეთს ვერ
ვსვამ, წვეთს.

გოჩა – მაშინ ერთ სადღეგრძელოს ვიტყვი და მორჩა.

ზაზა – ჰე ,მიდი აბა (თან გიტარას უკრავს)

გოჩა – სიცოცხლეს გაუმარჯოს, სიცოცხლეს. ჩვეულებრივს კი არა

...

ზაზა – აბა არაჩვეულებრივს?

გოჩა – ეე.... შენ ჯერ ბავშვი ხარ, ჩემო ზაზა.

ოლი – თქვი ახლა, ნუ დაგვტანჯე.

გოჩა – ჩვენს ერთ კვირიან სიცოცხლეს გაუმარჯოს. შაბათის მოსვლა, რომ გვიხარია. ერთმანეთის დანახვაზე, რომ ვცოცხლდებით და ველოდებით შაბათს. აი, იმ სიცოცხლეს გაუმარჯოს, (ცრემლი მოერევა) სიცოცხლეს, შაბათიდან-შაბათამდე, შაბათიდან-შაბათამდე და ასე გაუთავებლად. (სვამს მოწყვეტით) ასე მტერი დაგეცალოთ (უყურებს ჟუკას, ის კი დგება და გადის)

თინა – გოგოებო, ეს მაგიდა მიმაჩოჩებინეთ და ავალაგებ.

ქეთი – მოიცა, მოგეხმარებით.

თინა – არ მინდა მოხმარება, რაა ამდენი ასალაგებელი (ზაზა მღერის ყველა ჩაფიქრებულია)

თინა – ჩემი ბიჭიც დამყავდა გიტარაზე მოსწონდა ძალიან კარგადაც გამოსდიოდა, რომ გაგვიჭირდა თვითონ დაანება თავი აღარ მინდაო. (ცრემლს მოიწმინდავს) (შემოდის ჟუკა)

ჟუკა – ნიკო წავიდა (ყველა ერთად იკითხავს - რაა?) თიკა წაიყვანა და წავიდა.

((გული წაუვა, გოჩა ხელში აიტაცებს დასცქერის. ცოტა ხანს ქალები წიოკობენ. ჟუკა! ჟუკა! ზოგს წყალი მოაქვს. გოჩას ჟუკა ხელში აყვანილი გაყავს) მუსიკა და სიბნელე სცენაზე.)

მეოთხე სურათი

(ქეთი და ოლი ბრუნდებიან)

ქეთი – 5 წთ-ს არ დაიცდის ეს ქალი, რომ სახლში შემოვიდე.

კლარა.... კლარააა..... ხომ გითხარი უკვე წასულა

ოლი – ისეთი დაღლილი ვარ, ცოტა ხანს ხომ არ წამოვწვეთ?

ქეთი – არა, დევიდს უნდა მივხედო, შენ თუ გინდა წამოწევი.

ოლი – მაშინ არც მე მინდა.

ქეთი – მოდი, ყავა მოადუღე. მე დევიდს მივხედავ.

ოლი – ვგიჟდები, რა კაცია, ერთს არ შეგაწუხებს (იხდის ჟაკეტს, ფეხსაცმელებს, იქვე ყრის)

ქეთი – კარგი ენის იყავი გოგო (ტელეფონს მაგიდაზე აგებს), მთელი ღამე ფხიზლად ვიყავი, ტელეფონიც არ გავთიშე, ვუცდიდი, იქნებ მოიფიქრონ და დამირეკონ, არააა..... არც ერთს ჩემი დარდი არ აქვს. მოვკვი, მოვრჩი, რა მჭირს....

ოლი – დაიწყო...

ქეთი – რა დაიწყო, არ უნდა დამირეკონ?? არ აინტერესებთ არაფერი. აბა ერთი ფულის გაგზავნა დავუგვიანო, მაშინვე მესიჯი მოსულია.

ოლი – რას იზავ ჩემო კარგო, ტყუილს კი არ ამბობს თიკა, ჩვენ აქ ფულის საჭრელი მანქანები ვართ.

ქეთი – მაგათ რამდენიც უნდათ, ჩემი მანქანა იმდენის გაშრობას ვერ მოასწრებს.

ოლი – რა მაგარი იყო კომუნისტური სისტემა, ხუთ წლელი სამ წელიწადში. ეტყობა ეს გაკვეთილები კიდევ ისწავლება, გადასარეგია პირდაპირ.

ქეთი – შენ რომ არ იტყვი, ისეთი რამე არსებობს?

ოლი – სიმართლე, სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა.

(პაუზა) და ხანდახან ეს სიმართლე ძალიან მწარეა.

(ქეთის გამოჰყავს დევიდი და აწესრიგებს და იწყებს საქმიანობას)

ოლი – **good evning you look great** . (დევიდი იღიმება)

ოლი – რა საოცარია ცხოვრება, არა?... ვისაც უყვარხარ, ის შენ არ გინდა, ვინც შენ გინდა, იმას არ უყვარხარ.

ქეთი – რაზე ამბობ?

ოლი – კლასიკური სასიყვარულო სამკუთხედია, ჯუკა, ნიკო, გოჩა.

ქეთი – ხომ არაფერი გეცნო ძვირფასო?

ოლი – ეჰ, მეცნო და მეტი არა? მაგრამ, ეხლა ყველაფერი გვიანაა, ჩემმა მატარებელმა დიდი ხანია ჩაიარა, ტუ–ტუუუ...

ქეთი – რამდენს გეჩიჩინებოდი გახსოვს?

ოლი – მინდოდა წუხელ ჯუკასთვის რაღაც მეთქვა, მერე თავი შევიკავე, არ ეწყინოსთქო.

ქეთი – ჟუკასთვის ეს ბოლო შანსია, თუ ჭკუა აქვს გოჩა ხელიდან არ უნდა გაუშვას.

ოლი – არ უნდა გაუშვას, მაგრამ გულს ვერ უბრძანებ.

ქეთი – გოჩა კარგი ბიჭია, თან როგორ უყვარს.

ოლი – გუშინ, რომ ვუყურებდი, ძალიან შემეცოდა, ყველაფერი გამახსენდა

ქეთი – რა გაგახსენდა, შენი სისულელეები?

ოლი – ისე შემეცოდა, ისე...

ქეთი – ვინ, გოჩა თუ საკუთარი თავი?

ოლი – საკუთარი თავი... ჩემი აჩიკო გამახსენდა?

ქეთი – უი, ახლა შენიც გახდა? თვალეებს რომ უბრიალებდი და დარეტიანებული დადიოდა ბიჭი, მაშინ არ გეცოდებოდა?

ოლი – ვადიარებ, სულელი ვიყავი და რა ვქნა?

ქეთი – ახლა რა უნდა ქნა, კაცი სასუფეველშია.

ოლი – ქეთი იცი?? ვისავ ვუყვარდი ან მოვწონდი, ყველა მკვდარია. ე.ი რა გამოდის? ვისაც არ უნდა გავყოლოდი, ყველა შემთხვევაში, ქვრივი ვიქნებოდი. ასე რომ, ბედისწერაა და ალბათ ასე სჯობს ჩემთვის.

ქეთი – აბა, ახლა მეტს რას იტყვი. როგორ ამწარებდი იმ საცოდავს, რომ მახსენდება შენი გაწიწკვნა მინდა.

ოლი – დამანებე თავი, რომ მახსენდება ცუდათ ვხდები.

ქეთი – შვიდი წელი ვიღაც იდიოტის გზას გაცქეროდი, მაშინ როცა ბედნიერება, იქვე, შენს გვერდით იყო.

ოლი – სიყვარული ჩემო ქეთი, ვერტიკალურია და თანაც ბრუნვადი.

ქეთი – ბრმა გამოგრჩა, ბრმა.

ოლი – ბრმაზე და ყრუზე აღარაფერს ვიტყვი, ისედაც.....

(კარზე ზარია, ორივენი წამოხტებიან)

ოლი – ვინმეს ელოდები?

ქეთი – არა, მოიცა ვნახავ. (მოხუცი აწრიალდება)

ოლი – არ გაულო (იღებს იატაკიდან ყველაფერს)

ქეთი – ნუ გეშინია. ვინ არის?

ქალი – როუდა.

(ქეთი დასამალს ეძებს, მოხუცი აჩვენებს კარადაზე, ოლი კარადაში შედის დასამალად)

ქეთი – როუდა, ახლავე... ჩუმად იყავი (ეუბნება ოლის და დევიდის სავარძელს კარადას მიადგავს. აღებს შემოსასვლელ კარს)

ქალი – **good evening ,how are you?**

ქეთი – **fine.**

ქალი – **where is clara.i called her this morning and said that I will come.**

ქეთი – **clara go away already he don't say to me anything** (ქალი მიდის დევიდთან, თან ცდილობს ყველგან შეიხედოს)

ქალი –**hi devid how are you darling,you look so happy.do you have dinnerr already? noo? What u want to eat?wow.mitlof? smells good.bravo cate,you are careing David soo good. Im going to shopping.say what u want.**

ქეთი–**ok.ill make a list.**

ქალი – **can I check what we got in the fridge** (ლაპარაკით გადიან სამზარეულოში მაცივრისკენ, ამ დროს ოლის თარო ჩაუტყდება და ისმის საშინელი ხმაური)

ქალი –**whats going on?** (დევიდი მაგიდაზე დადებულ ფოდნოსს გადმოაგდებს) **oh my god devid, I got scared devid,whats happend?**

ქეთი – he cant talk and he is so nervous.

ქალი – everinhing will be right.cate give me a list, I will bring everinthing tomorow. Bye devid(დევიდს თავზე კოცნის) bye bye, see you soon.

ქეთი – bye

ქალი – bye (სარკეში ჩაიხედავს, გაიკვკლუცებს და გადის)

(ქეთი ფანჯრიდან უყურებს, ხელს დაუქნევს და მივარდება კარადას, ოლიკო ჩატეხილ თაროშია ჩაკვებებული, ფეხები ზევით აქვს ამოშვერილი, თავი დაბლა. ხელში ფეხსაცმელები და კურტკა აქვს ჩახუტებული. ქეთის აუვარდება ისტერიული სიცილი)

ქეთი – რა მოგივიდა?

ოლი – ჯანდაბა. რა გაცინებს, ვერ ამოვდივარ.

ქეთი – ესენი რას ჩაგიხუტებია, მომეცი აჟ. (ოლი ყველაფერს ძირს გადმოყრის)

ოლი – ერთი ახლა დაანახა ჩემი თავი ჩემს სტუდენტებს, რას იხარხარებდნენ?! მოდი, ვერ ამოვდივარ.

ქეთი – მოიცა, სურათი უნდა გადაგიღო.

ოლი – რა სურათი, გაგიჟდი? (ქეთი სურათს უღებს, ოლი იჯლანება)

მგონი მართლა ვერ ამოვდივარ, თან გვერდში რაღაც მერჭობა. (ქეთი ძლივს ამოატრევს) რა ჯანდაბამ ჩამტვრია, გავაგიჟეთ ეს კაცი.

ქეთი – ხომ გეუბნები, ეს ისეთი ოქროა, ამის ხათრით ვჩერდები, ამ ტყეში.

ოლი – მაღლობთ მისტერ დევიდ, მაღლობთ (და თავზე კოცნის) ღმერთო გევედრები დაუბრუნე ამ კაცს მეტყველების უნარი.

ქეთი – ეტყობა კლარამ უთხრა შენზე, იმიტომ მოვარდა ეს კუზიანი.

(ოლი წინ მოდის დაფიქრებული, ისევ იღებს თავის ტანსაცმელს, იხუტებს და ჩაჯდება იატაკზე და ბავშვივით იწყებს ტირილს)

ქეთი – ოლი, ოლი კაი რა, რა მოხდა მერე?... გეხვეწები არ იტირო, იცოდე მეც ვიტირებ. გეტკინა რამე?

ოლი – არაააააა....

ქეთი – ჰო კაი დაწყნარდი ნუ ტირი.

ოლი – მეწყინააააააა.....

(ერთმანეთს ჩაეხუტებიან და ისტერიულად იცინიან. რეკავს ოლის ტელეფონი, ოლი ტელეფონს ეძებს, თან გვერდს იმასაყებს)

ოლი – ჟუკაა

ჟუკა – ოლი, მე ვარ, სამსახური გიშოვნე.

ოლი – მართლა? რა კარგი გოგო ხარ

ჟუკა – ოღონდ ახლავე უნდა წამოხვიდე

ოლი – ასე სასწრაფოა, მანდ არ ვიყავი??

ჟუკა – ხუთი წუთია რაც დარეკეს, ზაზა არ არის თორემ გამოგიგზავნიდი.

ოლი – არა უშავს, ტაქსით წამოვალ.

ჟუკა – კარგი აბა გელოდები, არ დაიგვიანო.

ოლი – ათ წუთში გამოვალ. (იძახებს ტაქსს, უცებ დაინახავს კაცი ფანჯარაზეა მოკრული. იკივლებს) ვაიმე, ეს ასე დაბოდილობს ისევ?

ქეთი – ეტყობა რაღაცა უნდა

ოლი – ნუ შემოიჩვევ, ფსიხია მაინც. (ქეთი ფანჯარასთან მიდის)

კაცი – hi

ქეთი – hello

კაცი – can I have some water?

ქეთი – just a minute (სანამ წყალს აიღებს კაცი შემოსულია და ქეთი შეეჯახება)

კაცი – sorry. (სვამს) you have soo pretty house.

ქეთი – yes..... Sory I have a guest.

კაცი –thank you. (და გადის)

ქეთი – ყველა საცოდავი და უბედური მე რატომ უნდა შემხვდეს?!

(ქეთი გაიხედავს ფანჯარაში, კაცი მისკენ იყურება. ქეთი იმ წამსვე მოსცილდება ფანჯარას)

ოლი – აღარაფერი აღარ მიაწოდო, გიჟია, არ იცი რა მოუვლის თავში. (თან იცვამს)

ქეთი – არა გოგო, ყველგან მუშაობს და ყველა რაღაცას აძლევს. ტაქსი მოვიდა.

ოლი – უი, რა სწრაფად მოვიდა. წავედი. ისე კი მინდოდა ცოტა ხანს კიდევ დარჩენა

(ოლი დევიდს ემშვიდობება).....

ქეთი – წადი ახლა ნუ ამატირებ.

ოლი – წერილი გამომიგზავნე დღესვე.

ქეთი – რა მოგწერო, აგერ არ ხარ?

ოლი – სხვა რამეები, შენ რომ იცი ისეთი. გულში რომ გამიაროს (კოცნის და გადის)

(ქეთი თეფშზე საჭმელს იღებს, სულს უბერავს და დევიდს მიუჯდება)

ქეთი – **are you hungry?? How it tastes? Is it hot?** როგორ მინდა, რომ ლაპარაკი შეგეძლოს, რამდენ რამეს მოგიყვებოდი, შემც მომიყვებოდი შენს ცხოვრებაზე. ახლა კი რა? მე ჩემთვის გიჟივით მარტო ვლაპარაკობ. შენ შენი ესტერი ხშირად გირეკავდა?? ვერ გაიგე ხომ? მაგდენი მეც არ ვიცი რომ გადმოგიტარებო. ჭამე ჩემო კარგო, აი ესტერი რომ ჩამოვა, მინდა კარგად დახვდე. (კაცი იღიმება) ესტერი რომ ვახსენე გაიგე ხომ? კარგი მამა ხარ შენ, კარგი. ესტერის კი არა, მგონი ჩემი მამაც ხარ. შვილებს მაზრდევინებ. (რეკავს ტელეფონი) ალოო

ზაზა – ქ-ნო ქეთევან

ქეთი – დიახ, გისმენთ

ზაზა – ზაზა ვარ

ქეთი – გისმენ ზაზა, რა ხდება, ხომ მშვიდობაა?

ზაზა – არც კი ვიცი რა გითხრათ...

ქეთი – ნუ მაშინებ ზაზა.

ზაზა – თქვენს სიკეთეს ვერასოდეს გადავიხდი.

ქეთი – რა იყო, მითხარი.

ზაზა – ქასთინგზე ამიყვანეს.

ქეთი – რას ამბობ ბიჭო?...

ზაზა – იტალიელი ჯარისკაცის როლზე, ეპიზოდური პატარა როლია, მაგრამ... იცით რა ბედნიერი ვარ?

ქეთი – გილოცავ ოქროს ბიჭო, გილოცავ! სულ წარმატებებით გევლოს!

ზაზა – თქვენ და ოლიკო რომ არ ყოფილიყავით, მე ალაბთ მანდ ვერ მოვხვდებოდი. მადლობა, დიდი მადლობა, ყველაფერს გადავიხდი...

ქეთი – აბა, ეგ ლაპარაკი არ გამაგონო. ეს ჩვენი საჩუქარია. პირველი წარმატებული ნაბიჯის საჩუქარი.

ზაზა – თქვენ მე ოცნება ამიხდინეთ.

ქეთი – ეს ამერიკაა, ჩემო კარგო, სასწაულების ქვეყანა. ყველა ოცნება ოდესმე ხდება, უნდა გჯეროდეს მხოლოდ. აი მადლობა კი, ოსკარს რომ აიღებ, მაშინ გვითხარი, კარგი??

ზაზა – პირობას გაძლევთ! მადლობთ, დიდი მადლობა!

ქეთი – ბედნიერად ზაზა, ნახვამდის. აბა შენ იცი, ნახვამდის. (გათიშავს ტელეფონს, მიუბრუნდება დევიდს) რა ბედნიერია, ღმერთო, ჩემმა პატარა მეგობარმა ცხოვრების გზაზე, პირველი წარმატებული ნაბიჯი გადადგა. ვერ გაიგე ხომ? **Im soo happy.** ეს ხომ გაიგე? (კაცი თავს უქნევს)

ახლა წამლები დავლიოთ და დავიძინოთ, კარგი? (ქეთი მუსიკას რთავს, მაგიდას ალაგებს, დევიდს წამლებს ასმევს და გაყავს. ფანჯრიდან კაცი იყურება, ცოტა ხანში ქეთი ბრუნდება, კმაყოფილი გამომეტყველებით მუსიკას აყვება. მაგიდიდან იღებს ოლის ბარათს და ხსნის. ხმამაღლა კითხულობს)

ქეთი – „ქეთუსია, წერილის დაწერის დროა, გკოცნი ოლი.“ ოხ, შე სამაგელო, ესაა წერილი მოგწერეო? (იღიმება) ამას თბილისისთვის შევინახავ. (კეცავს და წიგნში დებს. ერთს გაიფრიალებს მუსიკის ფონზე, შემოაქვს ფურცელი, ჯდება და იწყებს წერილის წერას. თან

ხმამალა ლაპარაკობს რასაც წერს. რამდენიმე წინადადების შემდეგ დგება და იწყებს მონოლოგს)

ჩემო ოლი, ახლა ღამის 12 საათია, შენმა “ვრცელმა“ ბარათმა ძალიან გამახარა და კარგ ხასიათზე დამაყენა. ამ ერთად გატარებულმა დღეებმა, სიმშვიდე და სიხარული მომანიჭა. სიმშვიდე იმიტომ, რომ შენ ასეთი მხნე და იმედიანი ხარ. სიხარული კი იმიტომ, რომ შენ მე გჭირდები, იციი... დამავიწყდა კიდევ, რომ ასე შორს ვართ გადმოხვეწილი. მთელი ეს დრო, თითქოს იქ, საქართველოში ვიყავით, წახვედი და ეს მირაჟიც გაქრა. ეს ღამაში დღეები კი ჩვენს მოგონებებს შეემატება. ცხოვრება ხომ არა არის რა, მოგონებების მეტი... გაივლის დრო და თითოეული ეს ბარათები, საოცრად ძვირფასი გახდება ჩვენთვის. ნათლად ვხედავ, ერთ დღეს დავსვავთ ჩვენს ცელქ შვილიშვილებს და მოვუყვებით, საშინელი მონატრებისგან თავის დასალწევად, როგორ გამოვიგონეთ, ეს ღამაში თამაში. ამ საღამომ და შენმა სასაცილო ბარათმა, ბავშვობა მომაგონა... საოცრად მიყვარდა დედულეთის სოფელი. დაღამდებოდა თუ არა, სხვა სამყაროში გადავდიოდი. ცაზე, დიდი, კეცზე გამომცხვარი ჭადვივით ნათელი მთვარე ამოგორდებოდა. ძალიან დაბლა და ახლოს იყო. ასე მეგონა, თითოეულ სახლში ინტერესით იხედებოდა. ღამის დადგომასთან ერთად, ჭრიჭინებიც იწყებდნენ სიმღერას. მთვარის შუქით დაგრძელებული ხეების ჩრდილები მიწაზე გაწვებოდნენ, ღამის ნიავის თითოეულ გაქროლებაზე, ფოთლები ჩურჩულით ერთმანეთს რაღაცას უყვებოდნენ. მიყვარდა, ამ ჩრდილებთან შერწყმა, ჩავდებოდი ხეებს შორის, ხელებით ცისკენ ავიზიდებოდი, უცნაურ ფორმას მივიღებდი და გავირინდებოდი. გამოცუნცულდებოდა ბებია, სინათლიანი ოთახიდან გამოსული, ხანდახან მთლად წინ მედგა და ვერ მხედავდა. დამაბეული ათვალთვლებდა ეზოს, თან

დედაჩემს ეძახდა – „გამოდი გოგო გარეთ, ბოვში არაა არსად“. გამოიხედავდა დედაჩემი, და ვითომ მკაცრად, თან სიცილით–„ არ შემაშინოო,“ მთხოვდა. მე კი ვიდექი, გარინდული, გაუნძრევლად და ვხედავდი, როგორ შემოდოდა მთვარის ნათელი სხივები ხელის თითებიდან ჩემში და თანდათან საოცარი სინათლით მავსებდა. ვგრძნობდი უზომოდ, ტკივილამდე მიყვარდა ყველა და ყველაფერი ჩემს ირგვლივ. მინდოდა მთელი ხმით მეყვირა, მე თქვენ მიყვახართ, მაგრამ უცებ გამახსენდებოდა, ჩემი ბიძაშვილების გაცეხებული სახეები და ისევ გავირინდებოდი. სახლში შესული, კარგა ხანს ხმას ვერ ვიღებდი, მხოლოდ ვიღიმებოდი. ცოტა ხნის შემდეგ, კი ვიწყებდი მთელი ხმით სიმღერას და მოდიოდა რაღაც სიგიჟე. ბებიჩემი აგიზგიზებულ ბუხართან ვახშამს ამზადებდა და თან სიყვარულით, სიცილით თავს რომ ვერ იკავებდა თავისთვის ლაპარაკობდა – „გადარევეს ეს მთვარე ამ ბოვშვს, გეუბნებით მე თქვენ“. ორ წუთში, ჩემი სიგიჟე ბიძაშვილებსაც გადაედებოდათ და მაშინ უნდა გენახათ სიცილი და მხიარულება, არც ოხშივარადენილი ცხელი ჭადი გვაჩერებდა და არც ბალთა–ბალთა დაჭრილი, რძიანი სულგუნი. ვიღას ესმოდა დედაჩემის გაწყრომა, მე უკვე დაღლილი მივყუჩდებოდი და გავირინდებოდი. სოფელი, ჩემი ცხოვრების ყველაზე ლამაზი ფურცელია. არ ვიცი, რამდენად შევძელი ჩემი იმ დროინდელი აღამაფრენის შენამდე მოტანა... მხოლოდ ერთს გეტყვი, გარედან ჭუჭყიანი ხელებით, რომ არ მეხებოდნენ, ისევ ისეთი ვარ, მთვარის შუქით სავსე, სიკეთით, გაჯერებული, სხვისი ბედნიერებით თავად ბედნიერი, ოღონდ უნდა დამინახო, უნდა ჩამწვდე, მე ხომ ძალიან ცოტა რამ მყოფნის...

მაშინდელივით ეხლაც, ცაზე, დიდი, კეცზე გამომცხვარი ჭადივით მთვარეა აგორებული და ჩემს ფანჯარაში შემოსვლას ლამობს. ნიავმა ფარდის გაწევა მოახერხა, შემოიქროლა და ცოტა

ბუზღუნით ჩამჩურჩულა: დაიძინე ახლა, უკვე გვიანია და შენს ოლისაც ნუ მოაბეზრე თავი. აცალე, რა ხანია სძინავს. კოცნას და მოკითხვას კი მე წავუღებო.

ოლი, გახსოვს საკონსულოდან, რომ გამოვედით. მოვდიოდით და არ დარჩენილა ქალი თუ კაცი, აღტაცებული მზერა, რომ არ გამოეყოლებინა ჩვენთვის. ერთი ახლაც შეახედათ..... მაგრამ ჩვენ მაინც მაგრები ვართ. ახლა კი მორჩილი ბავშვივით სინათლეს ვაქრობ და ვიძინებ! (ტახტზე მიწვება, სინათლეს აქრობს და იძინებს)

(ოთახაში კორიდორიდან შემოდის დაბალი შუქი და მუსიკა. ფანჯრიდან ფრთხილად გადმოდის კაცი, ჯერ გაშეშებული დგას და დასცქერის ქეთის. შემდეგ შეხებას ცდილობს, ეშინია, უკან იხევს, შემდეგ ხელს წაწევს და ქეთის შეეხება. ქეთის ეღვიძება, ვერ გამოერკვევა ჯერ და უცებ გაგიჟებით იცილებს კაცს. კაცი ღონიერია და ვერაფერს უხერხებს.)

ქეთი – არა... არა... მომცილდი, მიშველეთ! (კივის. კაცი ტანსაცმელს ახევს და აუპატიურებს. შემდეგ კაცი ჩამობობლდება და იატაკზე ჩაჯდება. ქეთი ინსტიქტურად ხელებს იფარებს ტანზე და ისტერიულად ტირის. კაცი გონზე მოდის და, რომ გაიაზრებს ყველაფერს, თავში ხელს წაიშენს. წამოხტება და კედლებს ეხეთქება. დავარდება მუხლებზე ქეთის წინ, ტირის საშინლად, მკერდს იგლეჯს)

ქეთი—enough, enough, go away, go away now, get out.

(შეშინებული კაცი, იატაკიდან ქუდს იღებს და გიჯივით ფანჯრიდან გადავარდება. ქეთი ისტერიული ტირილით დაემხობა საწოლზე. სცენაზე ბნელდება. შემოდის მუსიკა)

მეხუთე სურათი

(ქეთი დივანზე მოკუნტული წევს, ტელეფონი გაუჩერებლად რეკავს, შეწყდება, 2 წუთში ისევ რეკავს. ქეთი თავზე ბალიშს იფარებს. ზარი არ ჩერდება. ტელეფონს ოთახში გაისვრის. ზარი ისევ რეკავს. წამოხტება და ფეხით დაამსხვრევს, სულ კანკალებს, პლედში ეხვევა და გიჟის თვალებით იყურება.)

ქეთი – დამანებეთ თავი! ყველამ დამანებეთ თავი, აღარ გეყოთ ჩემი წამება? (ისტერიულად) ყველამ დამანებეთ თავი. კიდევ რა უნდა მომისაჯოთ? კიდევ რითი უნდა დამტანჯოთ? ჩემო პატარებო, ჩემო კარგებო, გიღალატათ დედამ, მიგატოვათ, ღვთის ანაბარად ხართ დარჩენილები. იქნებ, ცოდვა მომდევს, ცოდვა წინაპართა, იქნებ, უკვე აღარც ცოცხალი ვარ?! (ხელს თვალებზე ჩამოისმევს, ემჩნევა რომ აშლილია) ღმერთო, მომეცი ძალა, რომ გავუმკლავდე..... რას, რას უნდა გავუმკლავდე? როგორ შეიძლება ჩემი არსებობის გამართლება? არ ვიცი, არ ვიცი, ფიქრებს ველარ ვიჭერ, სადა ვარ?? ვინ ვარ?? სად მყავს შვილები, ოჯახი, ქმარი? ჰო, ნეტავ ქმარი მყავდა? ჰო თუ არა? (დაფიქრებული) არა, არ მყავდა. ეს დედაჩემს უნდოდა, მამაჩემს უნდოდა, რომ ქმარი მყოლოდა, ბავშვებს მამა სჭირდებათო. ერთხელ ლუკას წამოსცდა, სად იყავი აქამდე, ადრე ვერ გასცილდიო? შენ მართალი ხარ ჩემო ბიჭო, სიყალბეში გაგზარდეთ, ტყუილში, სიცრუეში. ვითომ ყველაფერი კარგად იყო, ვითომ ყველაფერი ასეც უნდა ყოფილიყო. თავს ვიტყუებდი, თქვენც გატყუებდით. ვის სჭირდებოდა ეს ვის?, ხალხს?? ხალხს, რომ არ ეთქვა ქმარს გასცილდაო. სადაა ის ხალხი ახლა, სადაა ის ხალხი, რატომ არავინ მეკითხება, სახლში რატომ არ ხარ, მანდ რა გინდაო? ახლა ყველაფერი გასწორდა, ტყუილ-მართალი დამთავრდა. ყველაფერი დამთავრდა... რას ვეძებდი, ბედნიერებას? ბედნიერება თურმე იქ დამრჩენია, სახლში, თქვენთან ჩემო პატარებო. თვენი დედიკო ერთი ღირსებაშელახული,

თავმოყვარეობადაკარგული ქალია. აღარაფერი აღარ მინდა. თქვენთან, მხოლოდ თვენთან მინდა. თქვენთან მოსასვლელი გზაც თუ ვიპოვნე, იქნებ უფლებაც აღარ მაქვს? რატომ დავისაჯე ასე, რატომ? რატომ არაფერს მეუბნებით? სულ მესმოდა თქვენი ხმა, ახლა რატომ არ მელაპარაკებით? (გულზე ხელს იჭერს, ეძინევა რომ ცუდათ არის, იწყებს ჩუმიად სიმღერას) „გულო უნდა მიერთგულო, მიმყვე საიქიომდე“, ნეტავ ვინ დაწერა ეს სიტყვები? „ეს რამხელა, რა უძირო და რა გამძლე გამოდექ, ჯოჯოხეთის დამტეველო პაწაწინა სამოთხევ, ჯოჯოხეთის დამტეველო პაწაწინა სამოთხევ“ (კარზე ზარია, ქეთის არ ესმის.) „პაწაწინა სამოთხე,..... ნეტავ სად არის პაწაწინა სამოთხე“ (ისევ ზარი, ოლი ფანჯარაზე აკაკუნებს)

ოლი – ქეთი, ქეთი, კარი გამიღე. (ქეთი მექანიკურად აღებს კარებს)

რას გევხარ, ორი კვირაა ვრეკავ და ძაღლის ძვალივით მომიგდებ ერთ სიტყვას, არ მცალიაო. ვერც გამოვედი გარეთ. გავგიჟდი ქალი, დღეს კი ტელეფონიც გათიშე, შენ რა, სულ გაგიჟდი? ასე თუ გააგრძელე თბილისამდე სულს ვერ ჩაიტან ,რამე ცუდი გაიგე?

ქეთი – არა

ოლი – აბა რა მოხდა, ვერ მეტყვი?

ქეთი – რა მოხდა?

ოლი – ჰო, გამაგებინე რა გჭირს?

ქეთი – რა მჭირს და.....

ოლი – ტიროდი? ტიროდი ხო?

ქეთი – ვტიროდი? არა..... სატირელი რა მაქვს?

ოლი – ტელეფონი რატომ გაქვს გათიშული?

ქეთი – გათიშული მაქვს? არც ვიცი?

ოლი – რა ხდება გამაგებინე? ნუ გამაგიჟე?

ქეთი – არაფერი, შემეშვი რა!.....

ოლი – ტელეფონი სად გაქვს?

ქეთი – სადღაც იქნება მიგდებული!

ოლი – დევიდი წაიყვანეს უკვე? (თან ტელეფონს ეძებს)

ქეთი – ჰო, დილით, დღეს დაისვენე, მეგობრები მიიღეო, ვინ მეგობრები მიიღეო.... ვერ გავიგე.

ოლი – ქეთი რა გჭირს, არ იცი დღეს რა დღეა?

ქეთი – შაბათი?

ოლი – შაბათი დიახ. მერე?

ქეთი – რამე ხდება?

ოლი – რატომ მაშინებ, არაფერი არ ხდება დღეს? არ გახსოვს??

ქეთი – ეს ჩემი ქარბორბალა გადირია,

სათქმელი დამელია განა,

კალენდარს თავი ბოლო აერია,

დღეები ერთმანთს გვანან!

ოლი – მასე რა, რა გული გამიხეთქე. ყვავილები ვინ მოგართვა?

ქეთი – მისტერ დევიდმა გამომიგზავნა. დღეს ხომ ჩემი დაბადების დღეა. (გაკვირვებული). ვაიმე, დღეს ხომ ჩემი...

ოლი – კიდევ კარგი გაგახსენდა. გილოცავ ჩემო ლამაზო, ჭკვიანო, ჩემო დაიკო! (კოცნის და პატარა კოლოფს აწვდის)

ქეთი – მადლობა ოლი, არაფერი რომ არ გამიკეთებია?

ოლი – ყველაფერი იქნება, შენ მხოლოდ ჩაიცვი და გაიპრანჭე. ჰე, მიდი ახლა მოწესრიგდი.

ქეთი – გეხვეწები, არა ვარ ეხლა პრანჭვის ხასიათზე.

ოლი – სიტყვა არ გამაგონო, დღეს მაგრა უნდა დვლიოთ

ქეთი – მე და შენ?

ოლი – ეს სიურპრიზია. ჰე, მიდი ახლა თორე დრო გადის

ქეთი – მართლაც წამ–წუთობით მიჰქრის ეს სოფელი....

ოლი – ოჰ, დღეს პოეზიის ხასიათზე ხარ, მომწონს, მომწონს. (ქეთი გადის, ოლი ვიღაცას ურეკავს)

ოლი – კარები ღიაა, უხმაუროდ შემოდით. (შემოდიან ყველანი. ზაზას ტორტი უჭირავს, თინაც რაღაც შეხვეულები, ნიკოს პარკები, გოჩა სანთელს და სანთებელას ამზადებს)

თინა – ხომ არაფერი გაუგია?

ოლი – მემგონი არა, ისე კი ძალიან უცნაურად იქცევა.

ჟუკა – იქნებ ვინმემ დაურეკა სახლიდან?

ოლი – არა, ყველა გაფრთხილებული მყავს.

ნიკო – რად გვინდოდა ეს მასკარადი, ჯობდა გვეთქვა. ყველანი აქ ვართ და...

ოლი – ერთი დღეც მოვიცადოთ, ექიმები დიდ იმედს მაძლევენ, გამოვა კომიდანო

თიკა – დათოსი არაფერი ისმის?

ოლი – დათო ვიღას ახსოვს, ოღონდ ლუკა გადარჩეს.

გოჩა – რაღაც ძალიან მერიდება და საერთოდ არ მექეიფება

ოლი – არც მე, მაგრამ რომ არ მოვსულიყავი უფრო იეჭვიანებდა

თიკა – მგონი არც გველოდა

თინა – დედის გულს არაფერი გამოეპარება, უეჭველი რაღაცას გრძნობს, იმიტომაცაა ალბათ აფორიაქებული. (ოლი ოთახში იხედება)

ოლი – გოჩა აანთე სანთლები მგონი მოდის.

(შემოდის ქეთი და ყველანი ერთად. გილოცავთ! გილოცავთ! ქეთი გაშეშდება)

ქეთი – ვაიმე, გენაცვალეთ, საიდან, როგორ?

(ეხვევიან კოცნიან, ულოცავენ, ქეთი სანთლებს აქრობს. რეპლიკები – თიკა ჩემო პატარავ. ჟუკა გილოცავ, მაგარი ხარ გოჩა მიხარია ბედნიერს რომ გხედავ, თინიკო ჩემო კარგო მიყვარხარ ძალიან. ოლის ჩაეხუტება)

ქეთი – ეს ყველაფერი შენი მწყობილია ხომ? (ტირის)

ოლი – რა გატირებს, გაგიჟდი?

ქეთი – არა, ეს ისე გამიხარდა.

ზაზა – იქნება მოიფიქროთ ვინმემ და ეს ტორტი გამომართვათ.

ოლი – უი, აი აქ დადე (ოლი იღებს ცელოფნებს მაგიდიდან)

ზაზა – გილოცავთ ქალბატონო ქეთი!

ქეთი – ქალბატონოს ნუ მეძახი.

ზაზა – გილოცავთ, ბედნიერი და გახარებული იყავით

ქეთი – მადლობთ ოქროს ბიჭო

ზაზა – ეს ჩემგან (აწვდის პატარა კოლოფს)

ქეთი – ეს რა არის, რატომ შეწუხდი იტალიელი ჯარისკაცი?

ზაზა – აუგური! ბუნ კომპლიანო სინიორა! (და მხედრულ სალამს აძლევს)

ქეთი – გრაცე

ოლი – ვაუ, უყურე ამათ

ზაზა – აბა რა გეგონათ თქვენ

თინა – ყოჩაღ ზაზა, ყოჩაღ

ოლი – აბა, გოგოებო მომეხმარეთ (ქალები იწყებენ მაგიდის გაწყობას, ამ დროს რეკავს სკაიპი, ქეთი სასწრაფოდ დახურავს ლეპტოპს. ჟუკა სავარძელში ზის, გოჩა დაინახავს დამტვრეულ ტელეფონს და კრიფავს იატაკიდა. ოლიკო გამოართმევს და ანიშნებს ხელით, ჩუმადო.)

თიკა – ზაზული გიტარა?

ზაზა – მანქანაში მაქვს

თიკა – რატომ დატოვე?

ზაზა – აბა, ტორტს ხომ არ დავტოვებდი?

თიკა – ამოიტანე რა,... ვიმღეროთ

ზაზა – მაგაზე გაწყენინებ?? (გადის. თიკა და ნიკო განაპირდებიან)

ნიკო – ქეთი ნამტირალევი იყო

თიკა – არა, არაფერი არ იცის.

ნიკო – არც დათოს ამბავი?

თიკა – რამე რომ იცოდეს არ დაგვიმალავდა

თინა – რა ცოდოა

თიკა – მთავარია ბავშვი გამოვიდეს მდგომარეობიდან

ნიკო – ძალიან მძიმეაო, მაგრამ ექიმებს იმედი აქვთ

თიკა – რა უნდა ვქნათ?

ნიკო – არაფერი, რაც საჭირო იყო ყველაფერი გავაკეთეთ უკვე

თინა – უარესი არაა რომ არ ვეუბნებით?? ღმერთო გადაურჩინე მის დედას

თიკა – ოლიკო ეტყვის.

თინა – ოლიკო უარესად იტანჯება მგონი (ცრემლიან თვალებს ამოიწმინდავს)

ქეთი – რა ხდება თინა რა სახე გაქვს?

თინა – თავი მისკდება, წნევა მაქვს მგონი.

ქეთი – რამეს დაგაღვივებ, მაქვს დამწევები.

თინა – არ მინდა ქეთი დავლიე უკვე და ალბათ დამიწევს.

ოლი – მოდით ახლა. (ყველანი წამოიშლებიან და მაგიდას შემოუსხდებიან)

ნიკო – არ დაიწყეთ ახლა, თამადა და გრძელ-გრძელი სადღეგრძელოები. თითო-თითო სადღეგრძელო ყველამ ვთქვათ. ქეთის გაუმარჯოს! ჯანმრთელობას, სიხარულს, შენი შვილების ბედნიერებას და საქართველოში მშვიდობით და-ბრუნებას გისურვებ! (უხერხული სიჩუმე ჩამოვრდა)

თიკა – რა გჭირთ ხალხო აბა, ავიტაცეთ, ავიტაცეთ! (სადღეგრძელოს ირგვლივ ისმის რეპლიკები ქეთის მიმართ, რეკავს ოლის ტელეფონი, ოლი განცალკევდება და პასუხობს)

ოლი – გისმენ ლანა, რა ხდება?

ხმა – დედას ვურეკავ და ვერ ვუკავშირდები. დარეკვისაც მეშინია არაფერი შემატყოს. ლუკა ისევ ისეა.

ოლი – მამაშენი?

ხმა – მამაჩემს ვერ ვპოულობ, ალბათ უკვე წავიდნენ და ტელეფონიც გათიშეს.

ოლი – ფული მიიღე??

ხმა – კი, დიდი მადლობა, თქვენიც მერიდება...

ოლი – არ მოგერიდოს. რაც გჭირდება ყველაფერი მითხარი, დამირეკე ნებისმიერ დროს. თუნდაც ვინმესთან უბრალოდ ლაპარაკი გინდოდეს.

ხმა – დედამ რამე იცის?

ოლი – არა, აი ლუკა რომ კარგად გახდება მერე ვეტყვი ყველაფერს. უფრო ადვილი იქნება მისთვის

ხმა – 2 წთ მაინც უნდა დაველაპარაკო, ვიცი როგორ მელოდება.

ოლი – კარგი, ამ ტელეფონზე დარეკე. იცოდე არ იტერო, არაფერი შეგატყოს. ხომ იცი მაგის გულის ამბავი, გაგიჟდება. ისედაც არეულია რაღაც.

ხმა – დათოზე რა ვუთხრა?

ოლი – უთხარი რუსეთში წავიდნენ საქონლის ჩამოსატანათქო.

ხმა – ოლის ტელეფონზე რატომ დარეკეო რომ მკითხოს?

ოლი – არ გკითხავს. თუ გკითხოს შენ ვერ დაგიკავშირდი და ვიცოდი ერთად იქნებოდითთქო.

ხმა – კარგი.

ოლი – აბა შენ იცი ლანა, რა მაგრად იქნები. უკან არაფერზე დაიხიო, ფულს ჩვენ გამოგიზავნით, მთავარია ლუკამ გაუძლოს. მარტო არ დარჩე მანდ.

ხმა – არა, ბიჭები სულ აქ არიან (სლუკუნებს)

ოლი – მიდი აბა, გელოდები, არ იტირო ისე ელაპარაკე.

ხმა – მადლობა ოლი.

(ტელეფონს გათიშავს და შემობრუნდება)

ოლი – რა გამოვტოვე?

ზაზა – არაფერი, ჯერ გვშია.

ჟუკა – მაშინ მე ვიტყვი, კარგი?

გოჩა – მიდი გენაცვალე, გისმენთ.

ჟუკა – შენ ბედნიერი ქალი, ამაყი დედა, ერთგული ცოლი და ძლიერი მეგობარი ხარ! შეიმედე, შეამაყე და ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოს!

ქეთი – ვაუ, რა ქება დიდების კორიანტელი დააყენე?!

ჟუკა – მოკლედ ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოს! (ყველანი აყვებიან რეპლიკებია)

თიკა – ზაზა დაუკარი რამე (თინა და ჟუკა რაღაცას ლაპარაკობენ, თინა ცრემლებს იწმენდს და ვიშვიშებს.)

თიკა – მე რომ მიყარს რაა?! (ზაზა იწყებს სიმღერას. აყვებიან. უცბად რეკავს ოლის ტელეფონი, ოლი პასუხობს)

ოლი – ბატონო.

ხმა – ოლიკო ლანა ვარ.

ოლი – ლანა გენაცვალე როგორ ხართ?

ხმა – კარგად.

ოლი – რა იცოდი აქ რომ ვიყავი?

ხმა – დედას ვურეკავდი და გათიშული აქვს.

ოლი – არც იცის ტელეფონი სად აქვს, ახლავე გალაპარაკებ.

ქეთი – ჩემი გოგოა? მომეცი. (ართმევს ტელეფონს) ლანა დედიკო, როგორ ხართ?

ხმა – დედი, გილოცავ დაბადების დღეს! მიყვარხარ ძალიან, ძალიან! რას შვებით ქეიფობთ?

ქეთი – მადლობთ დედიკო, ამათმა ისეთი სიურპრიზი მომიწყვეს, ყველანი აქ არიან. შენ რატომ არ გბინავს? მანდ რა ხმაურია?

ხმა – ტელევიზორია.

ქეთი – ლუკას სძინავს?

ხმა – კი, სძინავს.

ქეთი – მამა სად არის?

ხმა – მამა რუსეთში წავიდა რაღაც საქმეზე. წავედი დეე ,მეძინება

ქეთი – კარგი დედიკო, გკოცნით, გკოცნით, გკოცნით. მაგ ძილისგუდამ ვერ დაიცადა, რომ დამლაპარაკებოდა? (ლანა გათიშავს)

ქეთი – ლანა, ალო, ლანა... გაითიშა...

ოლი – დაწყნარდი? მოდი ახლა. (თან თეფშებს ცვლის)

ქეთი – თქვენ მე დღეს ისე გამახარეთ...

გოჩა – დამისხი ერთი ზაზული, უფლის სადღეგრძელო მინდა დავლიო. ნატვრა, რომ შემისრულა და დიდი სიყვარული მაპოვნინა. ოცნებას რომ ამიხდენს და იქ საქართველოში, ჩემს

სოფელში, აგიზგიზებულ ბუხართან ყველას ერთად თავს მოგვიყრის. მამაჩემის გახარებულ სახეს მაჩვენებს, მრავალჯამიერს დავაგუგუნებთ და მადლობას ვეტყვით შემოქმედს! თქვენ ჩემი ოჯახი ხართ, დიდი ოჯახი, და ერთი საიდუმლო მინდა გაგანდოთ (ქეთი ზის მაგრამ სადღაც არის)

ჟუკა – გოჩა, ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი.

გოჩა – დაწყნარდი სიხარულო, ჩემი ბედნიერებით, ვიცი ესენიც გაიხარებენ.

ზაზა – თქვი ახლა, სანამ გადაგაფიქრებინეს.

ოლი – რა იყო, რა ინტრიგა შემოაგდე.

გოჩა – ჟუკა სიხარულო, შენ თქვი, გეხვეწები.

ჟუკა – ჩვენ შვილი გვეყოლება.

(უცბად ახმაურდებიან და წავა ჩვეულებრივი მისალოცი რეპლიკები. ქეთი ხმაურზე გამოფხიზლდება)

ქეთი – რაო, რა ხდება?

ოლი – ჟუკა ორსულადაა.

ქეთი – ორსულად?? რატომ?

ოლი – რა რატომ? რა გჭირს?

ქეთი – უი, რა ბედნიერებაა....

ოლი – ქეთი, მე დღეს შენ არ მომწონხარ...რა გითხრა ლანამ?

ქეთი – რა უნდა ეთქვა, მომილოცა.

ოლი – მეტი არაფერი?

ქეთი – უნდა ეთქვა რამე?

ოლი – რა ვიცი, მე შენ გეკითხები.

ქეთი – მიყვარხარ ძალიანო. ისე რაღაც მოწყენილი კი იყო.

ოლი – საიდან მოიტანე ახლა ეგ. მოწყენილი იქნებოდა ღამის სამ საათზე აბა რა.

ქეთი – არ მომეწონა.....

ოლი – არ დაიწყო ახლა შენებური. ხალხო.... მეც მინდა რაღაც ვთქვა. აი ნიკო და თიკა დაქორწინდნენ, ზაზა ალბათ ჰოლივუდში წავა.

ზაზა – დაცინვას კაცი არ მოუკლავს.

ოლი – არ დაგცინი ოქროს ბიჭო. გოჩა და ჟუკა ბავშვს ელოდებიან. თინა იმდენი ხანია აქ არის, ალბათ ძალით თუ გააგდებენ, თორემ ნებით არ წავა. მე და ქეთი ჯერ გაურკვევლობაში ვართ. რა გამოდის? უკან დამბრუნებლები აღარ ვართ არც ერთი? საცოდაო საქართველოვ, როგორ გაგებნა შვილები?

თიკა – არა, მე და ნიკო აქ არ დავრჩებით, ჩვენ დავბრუნდებით.

ზაზა – როდის?

თიკა – მალე ხო ნიკო?

ზაზა – ყველანი ხატის დამახებას ველოდებით, ხატმა უნდა დაგვიძახოს.

თიკა – ნიკო, ხომ სერიოზულად ამბობ, ხომ მალე წავალთ?

ნიკო – თუ გინდა დღესვე, ჩემო პატარავ.

თიკა – მიყვარხარ! (და მოეხვევა)

თინა – მე შვილო, იქ ვის ვჭირდები, აქ უნდა ვიყო. ჩემმა ბიჭმა მითხრა, რომ ჩამოხვიდე აქ რა უნდა გააკეთო, ვითომ ის

საკმარისი არაა რაც გავაკეთე. ასეა, დიდ მდინარეში რომ შეხვალ ან უნდა გაცურო ან უნდა დაიხრჩო. ხოდა მეც ვცურავ სანამ შემიძლია და მერე წამიღებს ალბათ სადღაც მორევი.

ზაზა – კარგით ხალხო, რა პანაშვილი მოაწყვეთ. (იწყებს სიმღერას, მოწყენილი სახეები დღეს არ იქნება. აყვებიან მაგრამ რარაც არ გამოდის მაინც)

ოლი – ქეთი, დაჭერი ახლა ეს ტორტი, თორემ ზაზა ისე უყურებს შეიძლება უკან წაიღოს.

ზაზა – ისე მიკვირს, ეს ამერიკელები ტორტს რომ აზელენ ერთმანეთს სახეში, როგორ შეიძლება ადამიანს სახეში შეაზილო ასეთი გემრიელობა (თიკა წამოხტება, იღებს ტორტს და ზაზასკენ მიემართება)

თიკა – ამერიკელობა რომ გინდა ძვირფასო, ამასაც უნდა შეეჩვიო.

ზაზა – შენ ისევ ისეთი გიჟი ხარ, როგორიც იყავი.

(ყველანი იცინიან ზაზა ნელა უვლის მაგიდას ირგვლივ)

თიკა–მოდის ზაზული, რეპეტიცია გავიაროთ.

თინა–გეყოფათ ნუ მაიმუნობთ.

თიკა–სულაც არ ვმაიმუნობ (აგრძელებს მაგიდის ირგვლივ სირბილს)

ზაზა–ვოუ, ვოუ, ვოუ (ხელით იგერიებს დისტანციურად)

ნიკო–მიდი თიკა, მიდი.

ზაზა–ამას კიდევ გაქეზება უნდა, ჭკუა დაუშლის თუ თანამდებობა (ცოტათი გახალისდნენ.

ოლი–მომეცი აქ ეგ ტორტი(ართმევს)

ზაზა–ნიკო, მაგარი ბიჭი მეგონე, ცოტა ვერ მოაჭკვიახე, კინალამ არ დავილუპეთ და დავრჩით ტორტის გარეშე.

ოლი–დაჭერი ახლა თუ ჭრი, თორემ შეგაზილე სახეში.

(ქეთი იწყებს დაჭრას და აყაყანდებიან)

თიკა–მე პირველი ვარ.

ქეთი–პირველი ჟუკას.

ზაზა–მე დიდი ნაჭერი მომიჭერი.

ქეთი–თინიკო გამომართვი.

ოლი–მე ძალიან ცოტა ხოო?

თიკა–რა გემრიელია.....

ზაზა–ეს რომ სახეში შეგეზილა ვერც გადამირჩებოდი.

თიკა–მოიცათ რა, სურათებს გადავიღებ.

თინა–მაგ სურათებია რომ აგიჟებს ხალხს, ასე გონიათ რომ სულ ტაშ-ფანდურში ვართ.

(თიკას მოაქვს ტელეფონი და იღებს სურათს)

თიკა–ერთად, ყველა ერთად, გაიღიმეთ და თქვით ჩიიიზ (ჩამოვარდება სიჩუმე რატომღაც ქეთის უყურებენ)

ოლი–ქეთი, შენ რატომ არ ჭამ.??

ქეთი–არ მინდა.

ოლი–ტორტი რომ გიყვარს.

ქეთი–მიყვარს მაგრამ ახლა არ მინდა . (აიღებს ჭიქას)

ოლი–მოუსმინეთ, სიტყვას ამბობს იუბილარი.მიდი ქეთი შენ, რომ იცი ისე ლამაზად, ხატოვნად. (პოეტურად?)

ქეთი – რა გითხრათ, მე ერთი გზააბნეული, თავნება, ჯიუტი, ღრუბლის კალთიდან შემთხვევით დაცურებული წვიმის წვეთი ვარ. რომელიც ქარბორბალამ ფანჯრის მინებს მიახეთქა და ახლა თავქუდმოგლეჯილი მიექანებს დაბლა და არც კი იცის, რომ იქ, დაბლა, მასსავით გზააბნეული წვიმის წვეთებისგან შემდგარი გუბე ელოდება, რომელიც ისე სწრაფად გადაყლაპას, რომ მისგან ერთი ჩუმი ამოკვნესის მეტი არაფერი დარჩება. მერე იმ გუბეს, მზის სხივები უცებ ამოაშრობს და ფა–ფუუუუ..... ფანჯრის მინაზე კი, წვეთების ნაკვალევი დარჩება, ისიც ცოტა ხნით, მერე კი ისიც წაიშლება. (თინა სლუკუნებს ყველა ჩუმადაა) ჩემო ძვირფასებო, ისე გვეცხოვროს, რომ ჩვენს შემდეგ დატოვებული ნაკვალევი დიდხანს არ წაშლილიყოს. დღეს მე ძალიან ბედნიერი და ძალიან უბედური ვარ. (ხელს ასწევს) არაფერი შემეკითხოთ.

თინა – (ჩუმათ ოლის)უთხარი?

ოლი – არა.

თინა – აბა რაზე ამბობს.

ქეთი – თქვენ დღეს მე ერთი ლამაზი დღე მაჩუქეთ. მაძლობას გიხდით იმისთვის, რომ თქვენ ასეთი კარგები ხართ და თქვენ ჩემები გქვიათ.

ნიკო – შენ გაგიმარჯოს ჩემო დაიკო, იცოდე ნიკო...

ზაზა – შენი ძმია.

ნიკო – ბიჭო, ჭკვიანად. ნიკო შენი....

ზაზა – ძმია.

ნიკო – ხო, ქეთი ხო, ნიკო შენი ძმია.

ქეთი – ვიცი ნიკო ვიცი, მაძლობა.

(თინა ცრემლს იწმენდს)

თინა – ჩემო ჭკვიანო, ენა მოქარგულო, ღმერთო, შენ დაიფარე.

თიკა – კარგი ახლა თინიკო.

თინა – არაფერია, ცოტა გული ამიჩუყდა.

გოჩა – არ წავიდეთ ხალხო? გვიანია უკვე

თინა – კი, დროა, დრო.

(წამოიშლებიან)

ოლი – რა იყო, რას წამოიყარეთ.

თიკა – მეტი აღარ შემიძლია (მიმართავს ოლის და ხმა უკანკალებს)

ჟუკა – წავიდეთ, ქეთიც დავღალეთ.

ზაზა – ვინ ვისთან ჯდება.

ოლი – მე ვრჩები, დილით წავალ.

ზაზა – ჩემები ჩემთან.

ქეთი – შენც წადი, დილით რატრომ უნდა იწვალო?

ოლი – არა, დარჩენა მინდა.

ქეთი – წესიერად დაიძინებ, ხვალ ხომ მუშაობ.

ოლი – აქ ვერ დავიძინებ? დილით ტაქსს გამოვიძახებ.

ქეთი – არა მაქვს შენთან ლაპარაკის თავი.

გოჩა – აბა შაბათს შევხვდებით, შაბათს.

ოლი – რა თქმა უნდა.

თინა – მაგ შაბათის იმედით ვცოცხლობ. შაბათიდან შაბათამდე.

(ემშვიდობებიან ჩვეულებრივი რეპლიკები: წავედიით– აბა კარგააად – შაბათს გელოდებით ქეთი)

ზაზა – გინდა დილით ჩამოგაკითხავ, ოღონდ ადრე მოვალ, ხომ იცი ხვალ მეც ვმუშაობ.

ოლი – არა, ტაქსით წამოვალ.

(ყველანი ნელ–ნელა გადიან. გოგოები შემობრუნდებიან)

ოლი – რა ხდება ქეთი, რომ დაზაფრე ის ხალხი.

ქეთი – იცი? თურმე ერთ წუთში შეიძლება აბსოლიტურად შეიცვალოს შენი ცხოვრება.

ოლი – რაზე ამბობ?

ქეთი – ჯერ დღეებს ვითვლიდი, მერე თვეებს, ახლა წლებს. დავიღალე, ძალიან დავიღალე... საკუთარ თავს ვეღარ ვცნობ. რალაცნაირად გავიცვითე, თითქოს რალაც მომპარეს, ვეძებ და ვერ მიპოვნია, საკუთარ თავს ვეძებ, აღარ ვიცი, როგორ უნდა ვიცხოვრო.

ოლი – შენ რა გგონია, მე კარგად ვარ? ყელში ამომივიდა ყველაფერი, მაგრამ შენთან ვერ ვლაპარაკობ. ისედაც ნერვები გაქვს დაგლეჯილი.

ქეთი – მიეჩვივნენ ჩემს გარეშე ყოფნას, ლანა დიდია უკვე, სულ გაღიზიანებული და დამაბულია. ლუკაა და ისეა გაუხეშებული და გატლანქებული, „როგორ ხარ დე“, „წავედი დე“, აი ესაა მაგასთან ლაპარაკი. იცი რას მივხდვი?

ოლი – რას?

ქეთი – სალაპარაკოც აღარაფერი გვაქვს. რალაცნაირად გავუცხოვდით. კი ვნერვიულობ არ მელაპარაკებიანთქო, მაგრამ მეც ველარაფერზე ვერ ველაპარაკები. თითქოს სხვადასხვა ენაზე ვსაუბრობთ, ერთმანეთის აღარ გვესმის. მრცხვენია ამის თქმა,

ხანდახან მიხარია კიდევ, რომ არ მირეკავენ და მაშინ ჩემი თავი მეზიზღება.

ოლი – კარგი ეხლა დაწყნარდი, უკვე ამეტებ. (დგება და იწყებს მაგიდის ალაგებას)

ქეთი – სჯობდა შავი პური მეჭამა და ჩემს შვილებთან დავრჩენილიყავი. უფრო მეტი გავაფუჭე, ვიდრე გავაკეთე.

ოლი – შერიგდნენ მამა-შვილი?

ქეთი – რა ვიცი, დათოს რომ ვკითხე, პირდაპირ ყვირილზე გადავიდა. ბავშვებს შიშით ვერ ვეკითხები.

ოლი–მაგ დათოსაც რა უნდა ამ ბავშვებთან? რაო, რას ამბობს?

ქეთი–თბილისში ხომ იცი, ისევ არეულობაა, გაუთავებელი მიტინგები, ლუკა ახალგაზრდაა, სისხლი უდულს, დღე და ღამე მიტინგზეა თურმე. დათო ამაზე გიჟდება. ლუკა იმასაც ვერ ეგუება მე რომ აქ ვარ, ხოდა, ხოცავენ მამა შვილი ერთმანეთს.

ოლი–რას გიჟდება, გავიდეს თვითონაც, რომ დამჯდარა სახლში და მზამზარეულს ელოდება.

ქეთი – იმის მერე რაც მაგან და ლუკამ იჩხუბეს, არც დაურეკავს. რავიცი რაღაც ბიზნესს ვაკეთებო.

ოლი – დათო და ბიზნესი ხმამაღალი ნათქვამია.

ქეთი – ადრე, მთვრალი რომ იყო, მაშინ მაინც მირეკავდა, ჩამოდი ჩამოდი, ვიზავთ რაღაცასო და აუცილებლად ჩხუბით მთავრდებოდა ჩვენი ლაპარაკი. ამ ბოლოს შეცვალა ტაქტიკა. უნდა გაუძლო, ბავშვების სწავლის დამთავრებამდეო. თან ბიზნესს ვუფინანსებ და ახლა იქ კი არა, აქ ვჭირდები.

ოლი – რამდენი ხანია არ დაგკონტაქტებია?

ქეთი – კარგა ხანია, ალბათ თვე, შეიძლება მეტიც. რამდენჯერმე სკაიპიც გამითიშა, ინტერნეტს ხარვეზი ქონდაო. რა ვქნა, რა ვიფიქრო აღარ ვიცი.

ოლი – (შეჩერდება, თეფშებით ხელში) რა ქნა? რა ქნა და გეყოფა. საკმარისად გაუკეთე ყველას ყველაფერი. მივაფურთხოთ ეშმაკს და აიდა სახლში. მართლა ხატის დამახებას ხომ არ ველოდებით.

ქეთი – მე იქ ჩემს თავს, ვედარ ვხედავ. ჩემს უბედურებას ასე იოლად ვერ გადავლახავ. თუ გადავლახავ საერთოდ.

ოლი – კარგი ახლა ნუ სულელობ და ფანტაზიორობ რაღაცას.

ქეთი – ოლი.....

ოლი – ჰო.

ქეთი – პირველად ჩვენი მეგობრობის მანძილზე, შენგან დამალული საიდუმლო მაქვს.... (ოლი შეჩერდება) საშინელი საიდუმლო

ოლი – აღარ გააგრძელო, გეყოფა, ვიცი ეგ შენი საიდუმლო

ქეთი – იცი??

ოლი – ხო ვიცი, ეგ შენი საიდუმლო და ძალიან გთხოვ ტრაგედიად ნუ გადააქცევ

ქეთი – რა იცი?.... შენ არაფერი არ იცი..... მე.....

ოლი – შენ, არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი, გადახარშავ არ მოკვდები

ქეთი – ამას როგორ მეუბნები, არ გრცხვენია? ჩემს ლუკას რა პასუხს გავცემ ეს მაძარდებს მხოლოდ. ამით როგორ უნდა ვიცხოვრო, ეს ტვირთი როგორ უნდა ვატარო?

ოლი – ვიცი ქეთი, ვიცი (მოეხვევა) მაგაზე აღარ იფიქრო. ყველაფერი კარგად იქნება, ყველაფერი. აი ნახავ, წავიდეთ ხვალვე წავიდეთ, გადაწყვიტე ქეთი, გადაწყვიტე, გეხვეწები, ბილეთებს ამდამვე მოვაგვარებ, ხვალვე წავიდეთ. თუ გინდა დღესვე, ახლავე. მითხარი რამე, ხმა ამოიღე (ტირის)

ქეთი – რა გატირებს, კიდევ რა ხდება ჩემს თავს?

ოლი – არაფერი აღარ მკითხო, მეც მაქვს ნერვები. მერე... მერე მე თვითონ გეტყვი ყველაფერს.

ქეთი – რა გატირებს?

ოლი – არაფერი, თვალში რაღაც ჩამივარდა, აბაზანაში შევალ... (გადის)

ქეთი – რას მეუბნება, ნეტავ საიდან გაიგო? მე არ მითქვამს, ის შტერი კაცი იმის შემდეგ არც გამოჩენილა. ისედაც, ის ვერ ეტყოდა. მისტერ დევიდი?... გამორიცხულია. ვიციო, არც პირველი ხარ და არც უკანასკნელიო.... ჩემს თავს რაღაც უბედურებაა... იმაზე მეტი, რაცა მჭირს... არაფერი შემეკითხოლო... თინაც სულ ტიროდა.... ისინიც რაღაც უცნაურები იყვნენ... რა ხდება ჩემს თავს, ღმერთო!.... (გულზე მიიჭერს ხელს) თბილისში მალე გათენდება, უნდა დავრეკო.... ვინ მეტყვის სიმართლეს? ჩემი ტელეფონი სადაა?... ოოოხ(გაახსენდა) არა, ჯერ ოლიკო უნდა გავუშვა. .(მოძებნის ოლის ტელეფონს და რეკავს.)

ქეთი – **alo, I need taxi Woodbridge-Nj., diqson-drive 25. Thank you**

ოლი – ვინმემ დამირეკა? ვის ელაპარაკებოდი?

ქეთი – არავის, ტაქსი გამოგიძახე. დილით ხუთზე ადგომას ახლა რომ წახვიდე ჯობია.

ოლი – გაგიჟდი? სად წავალ ამ შუალამეს?

ქეთი – ნუ გეშინია, არ მოგიტაცებენ.

ოლი – დაწყნარდი, რა მოგივიდა?

ქეთი – იცი, როგორ დამდალე?

ოლი – რას მეუბნები, ფიქრობ?

ქეთი – რას გეუბნები? დილით უნდა იწვალო. ახლა წადი, შენც დაისვენებ და მეც, რაა ამაში ასეთი უცნაური?

ოლი – უცნაური ისაა, რომ სახლიდან მაგდებ

ქეთი – არ გაგდებ. ღმერთო ჩემო, რატომ არავის არ ესმის ჩემი?

ოლი – მე მეუბნები მაგას? მე არ მესმის შენი?

ქეთი – რა გითხრა, როგორ გითხრა, როგორ გაგაგებინო? და– ვი – და –ლე!

ოლი – ჩემგან?

ქეთი – ყველა და ყველაფრისგან.

ოლი – მართლა გინდა რომ წავიდე?

ქეთი – არ გეწყინოს, მაპატიე, ხომ იცი როგორ მიყვარხარ. მარტო მინდა დარჩენა.

ოლი – ქეთი, ასე ვერ დაგტოვებ.

ქეთი – ოლიკო, წადიიი! (ამ დროს ტელ–ზე ზარია) აი ტაქსიც მოვიდა.

ოლი – რადგან ასეა, წავალ. დამირეკავ?

ქეთი – ჰო.

ოლი – რას დამირეკავ ტელეფონი დამსხვრეული გაქვს. ზაზას ვთხოვ და ხვალ ჩამოგიტანს.

ქეთი – წადი.... (ჩაეხუტება და კარებს მიუკეტავს. პაუზა) ნეტა, რომელი საათია? (ნახავს საათს) კიდევ ერთი საათი და დავრეკავ. იქ ახლა თენდება . ვის დავურეკო ასე დილაადრიან? ამ ორ კვირაში ერთხელ დამირეკა ლანამ, ისიც 2 წუთით, რატომ ვერ მივხვდი, რომ იქ რაღაც ხდება. შენ მაინც სად ხარ ლუკა, დედიკო. ჩემო ბიჭო, შენ მაინც სად ხარ?. ოოოო.... დათო, დათო... რა ვქნა ახლა, გულიკოს დავურეკო? ამ დროს სძინავს. ელისოს? არაა... თანაც ნაწყენი ვარ. იქ, ჩემს გარეშე სიცოცხლე არ უნდოდა, ახლა საუკუნეა აღარ მოვუკითხვივარ. მაიკოს დავურეკავ.... რომც ეძინოს გავადვილებ. რატომ აქამდე არ გამახსენდა..... (გახსნის ლეპტოპს და რეკავს)

ქეთი – ნინა დეიდა, დილა მშვიდობის, ნინა დეიდა... ხომ არ გაგაღვიძე?

ხმა – ქეთი შენა ხარ? შენ გენაცვალე, როგორა ხარ შვილო?

ქეთი – არამიშავს, ნინა დეიდა. თქვენ როგორ ხართ, ბავშვები როგორ არიან?

ხმა – ჩვენ რა გვიჭირს. შენ რას შვები შვილო? მომკლა შენზე დარდმა. დალაპარაკება მინდოდა მაგრამ ვერ გავბედე

ქეთი – რატომ არ დამირეკეთ? მაიკო საითაა?

ხმა – შენი ჭირიმე, კიდევ ჩვენს ამბავს რომ კითხულობ. მაიკო წუხელ მორიგე იყო საავადმყოფოში. სულ ვამბობდი, ქეთი გაუტეხელი ქალიათქო, ყოჩაღად უნდა იყო. რა ვუყოთ შვილო, დათოია გლახა კი არა, ანგელოზივით ქმარი დავკარგე მაგრამ თავი ვერ მოვიკალი.

ქეთი – რას ამბობთ ნინა დეიდა

ხმა – დათოია უსაქმური, ვის რად უნდა რუსეთში. ძაღლი შინ არ ვარგოდაო.... გამოაჭამს ფულებს ეს თავქარიანი ელისო და

ჩამოძუნძულდება უკან, შენ მაგი არ იჯავრო. სულ იმ ცანცარას ბრალია. ასე როგორ აურია მაინც ტვინი. შენც აღარ ჩამოდი შვილო და ხომ იცი კაცი სუსტია, სულ ხელის შეწყობა უნდა. მთავარია ბიჭი იყოს კარგად.

ქეთი – ვინ ბიჭი ნინა დეიდა?... ვინ ბიჭი?.....

ხმა– ნუ გეშინია დედა, ისე რავა გაგვწირავს ღმერთი, გამოვა კომიდან აბა რას იზავს?... უკეთესი მდგომარეობააო, ხომ დაგირეკა ლანამ, ძან შეგვაშინა ყველა, ისე გლახად იყო. რაღაცა ტაბლეტები დაუღვია, შეეშალა ალბათ თორემ, ისე რავა იზამდა ამას. გამოვა შვილო, უკეთ იქნება, ისეთი ვაჟკაცია, ავ თვალს არ ენახება.

ქეთი – ტაბლეტები დალია?... (გაოგნებულია)

ხმა – ქეთი, ქეთი, უი, შენ არ იცოდი? დედა რაღა ვქნა ახლა, ნუ გეშინია შვილო, ახლავე ლანას ვეტყვი და დაგირეკავს. ახლავე დედა, ახლავე... ქეთი! ქეთი! აქ ხარ??

(ქეთი წამოდგება, ხელს გულზე მიიჭერს, ცუდათაა)

ქეთი – ტაბლეტები დალიაო, ჩემმა ლუკამ ტაბლეტები დალია?, მოგიკვდეს დედა. ამას მეუბნებოდი ოლი, ვიცი ყველაფერიო? რატომ არ მითხარი გოგო, რატომ არ მითხარი. წავიდეთ ხვალვეო, ასე ცუდათ ხარ დედას სიცოცხლე,..... არ დამღუპო ლუკა..... დღესვე შვილო, დღესვე გადმოვფრინდები. (უაზროდ იწყებს რაღაცეების ძებნას) პასპორტი სად მაქვს? ჩემი ბრალია, შვილო, ჩემი ბრალია... ტელეფონი სად ჯანდაბაშია. (იპოვნის დამტვრეულს, იწყებს აწყობას. ვერ აწყობს და „ოოხ“ გადაყრის) ოღონდ ახლა არ მიღალატო, ოღონდ ეხლა არ გამწირო ლუკა. არ მიღალატო შვილო. მოვდივარ დღესვე, მოვდივარ....(იწყებს ოთახში უაზრო სიარულს, რაღაცეებს ალაგებს). ვაი.... დედა.....

(დაბარბაცდება, მიდის დევიდის მაგიდასთან და ყუთში წამალს ეძებს. ვერ პოულობს, ყუთს მაგიდაზე გადმოყრის. სულ მოიხრება მარცხენა მხარეს. ჭიქაში წყალს ასხვას და ვერ ახერხებს დალევას. საზურგეზე მიესვენება, თვალი უშტერდება, თვალწინ გაურბენს მთელი ცხოვრება კადრებად) (დარბაზში სხვადასხვა კედელზე და სცენაზეც პატარ-პატარა ვიდეოები, ხმები ერთმანეთში ირევა და ხმაური ძლიერდება.)) ამ დროს ისმის სკაიპის ზარი, ზარიც ძლიერდება, ქეთის თავი გვერდით ჩაუცურდება და ჭიქა გაუვარდება ხელიდან. ყველა ხმა ერთბაშად წყდება, რჩება მხოლოდ სკაიპის ზარი და სცენა ბნელდება)

დასასრული!